პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

სამშაბათი, 25 სექტემბერი, 1951 წ. № 226 (9080). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

მშვიდობისათვის ბრძოლა პრესის კეთილშობილური საქმეა—„პრავდის" 23-IX მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
სერგო ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმის გახსნა სოფელ ღორეშაში (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ (მე-2 გვერდი).
ახალგაზრდობის კრება მიძღვნილი მშვიდობისათვის ბრძოლისადმი (მე-2 გვერდი).
მეშახტე კომუნისტები მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლის სათავეში (მე-2 გვერდი).
ა. ჭიოკაძე—ერთი დაუვიწყარი საქმის ისტორია (მე-3 გვერდი).
მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება (მე-3 გვერდი).
რა გვიჩვენა რთველის პირველმა დღეებმა (მე-3 გვერდი.)
ბეჯითი შრომის ნაყოფი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მშვიდობისათვის ბრძოლა პრესის კეთილშობილური საქმეა

ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია ჩვენს ქვეყანაში დღითიდღე სულ უფრო ფართოდ ჩაღდება. მილიონობით საბჭოთა ადამიანი ხელს აწერს მიმართვას და ამით ცხადყოფს, რომ ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას, რომ დიდი ერთგულებით იცავს მშვიდობის საქმეს და მზად არის მთელი ძალღონით იბრძოლოს მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩვენი ხალხი ფართოდ იყენებს პრესის თავისუფლებას, რაც მას სტალინურმა კონსტიტუციამ მიანიჭა. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის სიტყვის, პრესის, პიროვნების, მუშების და გლეხების, ინტელიგენციის ორგანიზაციათა ისეთი თავისუფლება, როგორიც დამკვიდრებულია საბჭოთა კავშირში. არსად არ არის მუშებისა და გლეხების იმდენი გაზეთი, რამდენიც საბჭოთა კავშირში. გამოხატავს რა ხალხის ნებას, საბჭოთა პრესა პირნათლად ასრულებს კეთილშობილურ ამოცანას, დაუღალავად იბრძვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის დიდი, სამართლიანი საქმისათვის.

პრესის ნამდვილი თავისუფლება ისტორიაში პირველად განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში. „საბჭოთა სისტემა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — აცამტვერებს იმ ბურჟუაზიულ სიცრუეს, რომელიც „პრესის თავისუფლებას" უწოდებს მდიდრებისა და კაპიტალისტების მიერ პრესის მოსყიდვის თავისუფლებას, გაზეთების მოსყიდვის თავისუფლებას, თავისუფლებას კაპიტალისტებისათვის, რომ ასობით გაზეთი მოისყიდონ და ამით გააყალბონ ეგრეთწოდებული „საზოგადოებრივი აზრი".

ახლა მთელი მსოფლიო იმის მოწმეა, თუ რა ცინიკურად, აშკარად ყიდულობენ ომის ამერიკელი გამჩაღებლები კაპიტალისტური სახელმწიფოების პრესას და უწინარეს ყოვლისა მარშალიზებული ქვეყნების პრესას. სულ ამ ცოტა ხნის წინათ მსოფლიო პრესა იუწყებოდა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დასავლეთ გერმანიის პრესის რეაქციულ ორგანოებს მისცეს 15 მილიონი მარკა სუბსიდია იმ პირობით, რომ ამ ორგანოებმა გააძლიერონ ამერიკის საომარი გეგმებისადმი მხარდაჭერა. ინგლისის გაზეთი „დეილი უორკერი" ამის გამო წერდა: „დასავლეთ გერმანიის პრესა 30 ვერცხლისათვის ამერიკის ხმად გადაიქცა. გახსოვდეთ, როცა შემდეგ ამ გაზეთებიდან მოიყვანენ ციტატებს გერმანიის საზოგადოებრიობას სულიერი განწყობილების დასახასიათებლად, ეს იქნება დოლარის ხმა და არა გერმანელებისა". ასე იქმნება უოლსტრიტის მილიარდერებისა და მილიონერებისათვის სასურველი საზოგადოებრივი აზრი!

ყბადაღებული ბურჟუაზიული „პრესის თავისუფლების" მეორე მხარე გამოიხატება მშვიდობისათვის მებრძოლი პროგრესული პრესის ჩახშობით. კაპიტალისტურ ქვეყნებში პრესის დემოკრატიულ ორგანოებს, რომლებიც მამაცურად იბრძვიან მშვიდობისათვის, თავს ატყდება აურაცხელი რეპრესია. მაგალითად, იაპონიაში გასული წლის ივნისიდან ამერიკელმა საოკუპაციო ხელისუფლებმა აკრძალეს 1.700-ზე მეტი ბეჭდვითი ორგანო. დაიხურა გაზეთები, რომლებიც ხმას იმაღლებდნენ ამერიკელი ოკუპანტების წინააღმდეგ, ახალი ომის მომზადების წინააღმდეგ.

რა არის ახლა ბურჟუაზიული პრესის ყურადღების ცენტრში? ახალი ომის გაჩაღება, ავაზაკობისა და კაცთმოძულეობის ქადაგება. იმ გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე, რომლებსაც ომის გამჩაღებლები აფინანსებენ, სულ უფრო ხშირად ქვეყნდება რუკები ამერიკის სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო ბაზებისა, რომლებსაც მშვიდობისმოყვარე ქვეყნებზე თავდასხმისათვის ქმნიან. რეაქციული პრესა ომის მომზადებისა და ხალხის მასების მოტყუების ერთ-ერთი ძირითადი იარაღია.

სრულიად სხვა მიზნებს ემსახურება პრესა საბჭოთა კავშირში. საბჭოთა პრესის ყურადღების ცენტრშია კომუნიზმის მშენებელი ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შრომა, მისი მტკიცე ბრძოლა მშვიდობისათვის. საბჭოთა პრესაში არ არის და არც შეიძლება იყოს არც ერთი სტრიქონი, რომელიც ომისაკენ მოუწოდებდეს. რუკები, რომლებიც ჩვენი გაზეთების ფურცლებზე იბეჭდება, კომუნიზმის დიად მშენებლობათა და გრანდიოზული მინდორსაცავი ტყის ზოლების რუკებია. ჩვენი გაზეთები აშუქებენ საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, სოციალისტური კულტურის მიღწევებს, კომუნისტური მშენებლობის ახალ-ახალ გამარჯვებას. ბოლშევიკური პარტიის მძლავრი და ძლიერი იარაღი — პრესა ემსახურება კომუნისტური მშენებლობის საქმეს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეს.

საბჭოთა კავშირის პრესასთან ერთად მშვიდობის საქმეს იცავს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, მშვიდობისმოყვარე კორეის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა, მსოფლიოს მთელი მოწინავე, დემოკრატიული პრესა.

ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს მშვიდობის მომხრეთა კონფერენციები, როცა ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში მიმდინარეობს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვება, გაზეთების ფურცლები მკაფიოდ გამოხატავენ ჩვენი ხალხის ნებას—დაიცვას მშვიდობა, თავიდან აიცილოს ომის საფრთხე.

ახლა განსაკუთრებით დიდია ნაკადი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებისათვის საბჭოთა ადამიანების მიერ გაგზავნილი წერილებისა, რომლებშიც ისინი გამოთქვამენ თავიანთ აზრს მშვიდობის შესახებ. საბჭოთა პრესა ფართოდ უთმობს ადგილს ამ წერილებს, ვინაიდან მათში გაისმის ხალხის ხმა, ისინი გამოხატავენ ხალხის მზადყოფნას — თავდადებით იშრომოს მშვიდობის საქმის განსამტკიცებლად.

„ჩვენ ვიბრძვით ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის", — ასეთი სათაური აქვს უკრაინის რესპუბლიკური გაზეთის „რადიანსკა უკრაინის" ერთ-ერთ გვერდს, რომელზეც დაბეჭდილია მშრომელთა წერილები. თვითეული მათგანი — ეს არის მგზნებარე მოწოდება მშვიდობისათვის საბრძოლველად, მოწოდება—გაჩაღდეს თავდადებული შრომა მშვიდობის საქმისათვის.

კარგ ინიციატივას იჩენს ხაბაროვსკის სამხარეო გაზეთი „ტიხოოკეანსკაია ზვეზდა". იგი მკითხველს უამბობს, თუ რა თავდადებით შრომობენ მუშები, კოლმეურნეები, რომლებიც მშვიდობის ვახტზე დადგნენ, აქვეყნებს საინტერესო ფურცლებს უმდიდრესი მხარის ყოველდღიური შრომის შესახებ, ჩვენი ქვეყნის—მშვიდობის მედროშის შესახებ, ნიღაბს ხდის ამერიკელ იმპერიალისტებს — მშვიდობისა და დემოკრატიის უბოროტეს მტრებს.

„ჩვენ, საბჭოთა მასწავლებლები, ბედნიერი ვართ და ვამაყობთ იმით, რომ სამშობლო გვანდობს თავისი იმედის — საბჭოთა ადამიანების აღზრდას, — წერს ივანოვოს საოლქო გაზეთ „რაბოჩი კრაიში" რუსეთის სფსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ე. ვოინოვა. — ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა ესწავლოთ ჩვენს მოწაფეებს შემოქმედებითად მუშაობა, სტალინურად მუშაობა. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი მოწაფეები შეძლებენ „თავიანთი შრომით დაამშვენონ ქვეყანა, როგორც თვალი პატიოსანი", „გადააქციონ მას კაცობრიობის მშვენიერ სამკვიდროდ", როგორც ამბობდა ჩვენი ეპოქის დიდი მწერალი ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი. უსაზღვრო მრისხანებით იმსჭვალება ჩვენი გული იმაზე ფიქრებითაც კი, რომ პირსისხლიანი ავაზაკები ხელყოფენ ჩვენს მშვიდობიან შრომას, ჩვენი ბავშვების სიცოცხლეს".

ჩვენი პრესის კეთილშობილური ვალია ფართოდ და ყოველდღიურად გააშუქოს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიის მიმდინარეობა. პრესა მოწოდებულია ფართოდ გააშუქოს პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა, დაეხმაროს საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის შეჯიბრების განვითარებას.

გაზეთების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სისტემატურად განუმარტონ მშრომელებს საერთაშორისო მდგომარეობის, საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკის საკითხები, გააცნონ მათ საზღვარგარეთ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის მიზნები, ხასიათი და განვითარება და მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ისტორიული წარმატებანი.

პრესამ უნდა ცხადყოს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიის უდიდესი მნიშვნელობა, განმარტოს, რომ ხალხთა ნება, რომელიც გამოთქმულია მიმართვაზე ასეულ მილიონობით ხელმოწერით, მძლავრ ლახვარს ჩასცემს ომის გამჩაღებლებს და მათს აგრესიულ ზრახვებს. მიმართვაზე ხელმოწერას, რაც შეგროვებულია სსრ კავშირში, მსოფლიოს ხალხები მიიჩნევენ იმის ახალ მაგალითად, რომ საბჭოთა ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას მშვიდობის საქმე.

„...ფართო კამპანიას მშვიდობის შენარჩუნებისათვის, როგორც ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი მახინაციების გამოაშკარავების საშუალებას, ახლა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს", — ამბობს ამხანაგი სტალინი.

ბოლშევიკური პრესა, იბრძვის რა მშვიდობისათვის, კომუნისტური მშენებლობის ახალ-ახალი წარმატებისათვის, დიად, კეთილშობილურ საქმეს აკეთებს.

„პრავდის" 23/IX მოწინავე

ჩ ვ ე ნ ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა შ ი

წლინახევრის გეგმა ხუთი დეკემბრისათვის

რუსთავი. (საკ. კორ.). ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მანქანათსაიჯარო-საექსპლოატაციო ბაზის კოლექტივი მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დგას და თავდადებით იბრძვის მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად. შრომის სწორი ორგანიზაციით, სამშენებლო მექანიზმების გამოყენების გაუმჯობესებით კოლექტივმა 8 თვეში 78.200 კუბმეტრი მიწის სამუშაოები შეასრულა წლიური გეგმის გადამეტებით და 28.000 კილოგრამი საწვავი დაზოგა.

მეექსკავატორეები ვ. მალულარია, ი. ბორცვაძე, მ. გოგიტიძე, ი. ნიკოლაევი და მრავალი სხვა სისტემატურად 2-3 ნორმას ასრულებენ. მეექსკავატორე ვ. ჩებოტარიოვმა მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დადგომის პირველსავე დღეს სარეკორდო მაჩვენებელი მოიპოვა — ექსკავატორით 1.100 კუბმეტრი მიწა ამოიღო და დღიური დავალება 400 პროცენტით შეასრულა.

ა. სკლიაროვის ხელმძღვანელობით მეექსკავატორეთა მოწინავე ბრიგადამ 8 თვეში წლინახევრის გეგმა შეასრულა და ამჟამად წარმატებით იბრძვის, რომ დეკემბრის დასაწყისისათვის ორი წლის გეგმა შეასრულოს.

ბულდოზერის მოწინავე მემანქანე ნ. ნეკრასოვმა უკვე ორი წლის გეგმა შეასრულა და ახლა გადაწყვეტილი აქვს წლის ბოლომდე მესამე წლის გეგმაც გაანაღდოს.

მანქანათ საიჯარო-საექსპლოატაციო ბაზის კოლექტივმა იკისრა 5 დეკემბრისათვის შეასრულოს წლინახევრის გეგმა და ამით თავისი წვლილი შეიტანოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

მეშახტეთა ტექნიკური კაბინეტი

ტყიბული. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის შახტში გაიხსნა ტექნიკური კაბინეტი, სადაც წარმოდგენილია მასალები ტყიბულში ქვანახშირის ამოღების შესახებ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ. კაბინეტში ნაჩვენებია შახტის თანამედროვე მექანიზაცია, გამონამუშევარი სივრცის ვსების ახალი, მონტაჟბელური მეთოდი — ჰიდრავლიკური ვსება, თანამედროვე ვენტილაცია და მიწის-ქვეშა ტრანსპორტი.

ტექნიკური კაბინეტი, რომელსაც შახტის მთავარი ინჟინერი ალ. ტურძელაძე ხელმძღვანელობს, დიდ დახმარებას უწევს მეშახტეებს შახტის აგებულობისა და ქვანახშირის ამოღების პროცესების გაცნობის საქმეში.

მეშახტეთა წვლილი მშვიდობის განმტკიცების საქმეში

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). მეშახტეებს სტახანოვური შრომით თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ მშვიდობის განმტკიცების საქმეში. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიასთან დაკავშირებით ასობით მეშახტე დადგა მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე და გეგმის გადამეტებით იღებს ქვანახშირს.

ბერიას სახელობის შახტში დიდი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობით ჩატარდა მიმართვაზე ხელმოწერა. შახტის კოლექტივმა სექტემბრის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირი შესძინა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას.

მეშახტეთა მრავალრიცხოვან კრებაზე საყელავი მანქანის მემანქანემ ლ. ტყებუჩავამ დამსწრეებს ასე მიმართა:

— მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ჩვენი ხელმოწერა განვამტკიცოთ გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა ქვანახშირის ამოღებით. პირადად მე ვკისრულობ ცვლის ნორმა ყოველთვის 200-250 პროცენტით შევასრულო.

კრების დამთავრებისთანავე დაიწყო ხელმოწერა. მეშახტეებმა, სამთო ტექნიკოსებმა, ინჟინრებმა და მოსამსახურეებმა მოაწერეს ხელი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას. ამ დღიდან მთელი შახტი დადგა მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე და ხუთ დღეში გეგმის გადამეტებით ამოიღო 500-ზე მეტი ტონა ქვანახშირი.

მშვიდობის ვახტზე

კასპი. (საკ. კორ.). კოლმეურნეობები საშემოდგომო თესვას შეუდგნენ. სოფელ კავთისხევის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ დროულად მოიმარაგა და კონდიციამდე აიყვანა საჭირო რაოდენობის თესლი, ფართობებში გაიტანა მინერალური **სასუქები**. თეძამის მტს-ის № 6 სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ი. ხოკერაშვილი ხელმძღვანელობს, 21 ჰექტარი დათესა. სატრაქტორო ბრიგადა მშვიდობის ვახტზე დადგა და იკისრა საშემოდგომოდ გეგმის გადამეტებით დათესოს 30 ჰექტარი, მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგოს საწვავი და გადაჭარბებით შეასრულოს მზრალად ხვნის გეგმა. კოლმეურნეები კარგად ემზადებიან შაქრის ჭარხლის ამოღებისა და სიმინდის ტეხისათვის.

როგორ ასრულებენ მეჩაიეები ნაკისრ ვალდებულებებს

აჭარელმა მეჩაიეებმა გეგმის გადაჭარბებით მოკრიფეს 637,8 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულება კი 2.650 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს.

აფხაზეთის მეჩაიეებს ვალდებულება აქვთ ნაკისრი წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 2.000 ტონა ჩაის ფოთოლი. ვალდებულების ანგარიშში 20 სექტემბრისათვის მოკრეფილია 808,6 ტონა ჩაი.

მახარაძის რაიონში გეგმის გადამეტებით მოკრეფილია 637,8 ტონა ჩაის ფოთოლი. ვალდებულებით უნდა მოკრიფონ 2.200 ტონა.

ზუგდიდის რაიონის მეჩაიეებმა ვალდებულების ანგარიშში მოკრიფეს 258,6 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულება კი 1.000 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს.

ლანჩხუთის რაიონის მეჩაიეებს ნაკისრი აქვთ ვალდებულება გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 800 ტონა ჩაი. ვალდებულების ანგარიშში უკვე მოკრიფეს 566,6 ტონა ჩაი.

ჩხოროწყუს რაიონის მეჩაიეებს ვალდებულება აქვთ ნაკისრი წლიური გეგმის გადაჭარბებით მოკრიფონ 600 ტონა ჩაის ფოთოლი. უკვე მოკრეფილი აქვთ 280,1 ტონა.

გეგეჭკორელმა მეჩაიეებმა გეგმის გადამეტებით მოკრიფეს 459,9 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულება კი 600 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს.

ჩოხატაურის რაიონმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 500 ტონა ჩაის ფოთოლი. ამ ვალდებულების ანგარიშში მოკრეფილი აქვთ 419,6 ტონა.

ცხაკაიას რაიონის მეჩაიეებმა გეგმის გადამეტებით უკვე მოკრიფეს 161,8 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ვალდებულებით უნდა მოკრიფონ 300 ტონა.

ტყიბულელმა მეჩაიეებმა ვალდებულების ანგარიშში მოკრიფეს 140,2 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულება კი 300 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს.

ხობის რაიონმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 250 ტონა ჩაი. უკვე მოკრეფილია 182,7 ტონა.

ქუთაისელმა მეჩაიეებმა ვალდებულების ანგარიშში მოკრიფეს 26,4 ტონა ჩაი, ვალდებულებით უნდა მოკრიფონ 150 ტონა.

სამტრედიის რაიონმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 120 ტონა ჩაის ფოთოლი. უკვე მოკრეფილია 11,5 ტონა.

წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 600 ტონა ჩაის ფოთოლი

წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობამ 14 სექტემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის წალენჯიხის რაიკომის მდივანი ამხ. **კვარაცხელია** და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ზარანდია** იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 600 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

კაჭრეთის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს მზესუმზირას დამზადების გეგმა

კაჭრეთის რაიონის კოლმეურნეობებმა 15 სექტემბრისათვის 105,3 პროცენტით შეასრულეს მზესუმზირას დამზადების წლიური გეგმა. მზესუმზირას დამზადება გრძელდება.

სერგო ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმის გახსნა სოფელ ღორეშაში

კვირას, 23 სექტემბერს, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ღორეშაში სერგო ორჯონიკიძის სახლის ეზოში მრავალრიცხოვანმა ხალხმა მოიყარა თავი.

აქ არიან თბილისიდან და მეზობელი რაიონებიდან მოსული სტუმრები, ორჯონიკიძის რაიონისა და სოფელ ღორეშის მცხოვრებნი.

სახლ-მუზეუმს ამშვენებს მემორიალური დაფა სერგოს დაბადებისა და გარდაცვალების თარიღის აღნიშვნით. ეზოში აღმართულია სერგოს მონუმენტი შესრულებული მოქანდაკე მაღრაძის მიერ.

ნაშუადღევის 1 საათზე, სერგო ორჯონიკიძის მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგს შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ამხ. ზ. კიკნაძე.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ხატიაშვილმა, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის სახელით პოეტმა ირაკლი აბაშიძემ, რომელმაც აგრეთვე წაიკითხა საკუთარი ლექსი მიძღვნილი სერგო ორჯონიკიძისადმი; თბილისის სერგო ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორმა ამხ. გ. ბერძენიშვილმა, სერგოს მასწავლებელმა ბ. ციცქიშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობათა წარმომადგენლები. მიტინგის დასასრულს ამხ. ნ. ბადრიაშვილის მიერ წაკითხულ იქნა ზინაიდა გაბრიელის ასულ ორჯონიკიძის დეპეშა, გამოგზავნილი სახლ-მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით.

სერგო ორჯონიკიძის მონუმენტი სახლ-მუზეუმის ეზოში.
ფოტო ვ. გინზბურგისა

მუზეუმის შესავალთან გაიჭრა წითელი ლენტი და მოსული სტუმრები თანდათანობით შედიან მუზეუმში, სადაც ორ დიდ ოთახში ეცნობიან დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, უშიშარი მებრძოლისა და რევოლუციონერის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის სერგო ორჯონიკიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ გამოფენას.

ორჯონიკიძის რაიონის კულტურის სახლთან არსებულმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხ. ბ. აბაშიძე, სხვა სიმღერებთან ერთად შეასრულა პოეტ ირაკლი აბაშიძის ლექსზე დაწერილი ახალი სიმღერა, მიძღვნილი სერგო ორჯონიკიძისადმი.

პოლიგრაფიულ საწარმოთა რეკონსტრუქცია და მშენებლობა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის მთავარი სამმართველო დიდ მუშაობას ეწევა მოქმედ პოლიგრაფიულ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ახალი სტამბების, წიგნის ფაბრიკებისა და ფერადი ბეჭდვის კომბინატების მშენებლობისათვის.

წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა მოსკოვის მოლოტოვის სახელობის პოლიგრაფიული კომბინატის პირველი რიგი, სადაც დაიბეჭდება დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, წიგნისა და ჟურნალის ფაბრიკა კიევში, წიგნის ფაბრიკა ხარკოვში, დიდი სტამბა ტაშკენტში.

იაროსლავლში დაიწყო სალექსიკონო-ენციკლოპედიურ გამოცემათა პოლიგრაფიული კომბინატის მშენებლობა, ტაშკენტში — ჟურნალ-გაზეთების კომბინატის მშენებლობა. იაკუტსკში შენდება დიდი სტამბა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფერადი ბეჭდვის საწარმოთა სიმძლავრის გადიდებას. დაწყებულია ლენინგრადის ოფსეტით ბეჭდვის ქარხნის რეკონსტრუქცია. მისი სიმძლავრე უკვე წელს გაიზრდება 20 პროცენტით, ხოლო მუშაობის დამთავრების შემდეგ —სამჯერ და კიდევ მეტად. ლენინგრადში აგრეთვე მიმდინარეობს ივანე ფედოროვის სახელობის 21-ე მხატვრული ბეჭდვის სტამბის რეკონსტრუქცია.

კალინინში შენდება მრავალფერად ბეჭდვის დიდი კომბინატი. ის წლის განმავლობაში გამოუშვებს 500 მილიონამდე ფურცელ-ანაბეჭდს. მიმდინარეობს მუშაობა ფერადი ბეჭდვის კომბინატების დასაპროექტებლად, რომლებიც აშენდება უკრაინაში, ყაზახეთში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში. (საკდესი).

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ*

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

165. **თავდუმაძე** პეტრე ირაკლის-ძე —მახარაძის რაიონის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.
166. **თოიძე** ერემია ოქროპირის-ძე — მახარაძის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი.
167. **თოიძე** მარიამ გაბრიელის ასული — მახარაძის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
168. **თოიძე** ნინო კონსტანტინეს ასული — მახარაძის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
169. **ტოტოჩავა** თამარ ანტონის ასული — მახარაძის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
170. **ტულუში** ალექსანდრა ნიკოლოზის ასული — მახარაძის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
171. **თურმანიძე** ხუსეინ დურსუნის-ძე — ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
172. **ხვადაგიანი** შალვა იასონის-ძე — ცაგერის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
173. **ხიონიდი** გიორგი ისაკის-ძე — ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
174. **ხლორიდი** თევდორე პეტრეს-ძე—ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
175. **ხომერიკი** ჰიჰიკო არსენის-ძე— მახარაძის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
176. **ხოშტარია** ქუქუნა ილარიონის ასული — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
177. **ხურციძე** ლავრენტი სიპიტონის-ძე — ვანის რაიონის 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
178. **ცაცანიდი** გიორგი ესტატეს-ძე — ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
179. **ცაცანიდი** ქრისტეფორე მიხეილის-ძე — ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
180. **ცეცხლაძე** ნესტორ პავლეს-ძე — მახარაძის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
181. **ცეცხლაძე** შალვა ლავრენტის-ძე — მახარაძის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
182. **ცეცხლაძე** იასონ ესეს-ძე — მახარაძის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
183. **ცივაძე** ელიას ოსმანის-ძე—ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
184. **წირქვაძე** შალვა გუდუს-ძე — გეგეჭკორის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
185. **წიტაიშვილი** ანა ირაკლის ასული — მახარაძის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
186. **წიტაიშვილი** ვერა ერმილეს ასული — მახარაძის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
187. **წიტაიშვილი** ქეთია კირილეს ასული—მახარაძის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
188. **წიტაიშვილი** ლადინკა ლაზარეს ასული — მახარაძის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
189. **წიტაიშვილი** ლოლა სიოს ასული — მახარაძის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
190. **წიტაიშვილი** ნინო არტემის ასული — მახარაძის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
191. **წიტაიშვილი** ნინო სამსონის ასული — მახარაძის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
192. **წულაია** ესტატე კონსტანტინეს-ძე—გეგეჭკორის რაიონის გაჭედილის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
193. **ცხომელიძე** ნინო თეოფილეს ასული — მახარაძის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
194. **ცხომელიძე** სონია ლუკას ასული — მახარაძის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
195. **ჩაკვეტაძე** გაბრიელ ესტატეს-ძე — ცაგერის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
196. **ჩანჩიბაძე** ვარდენ ანთიმოზის-ძე — მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
197. **ჩანჩიბაძე** ნატალია ანთიმოზის ასული — მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
198. **ჭეჟია** ელენე ანტონის ასული —ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ წევრი.
199. **ჭკადუა** აგრაფინა სპირიდონის ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ წევრი.
200. **ჩუოფოია** კლიმენტი ლავრენტის-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ ბრიგადირი.
201. **ჭურღულია** ნორა ისიდორეს ასული — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
202. **ჩხაიძე** კარლო სერგის-ძე — მახარაძის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი.
203. **ჩხარტიშვილი** ილია კონსტანტინეს-ძე — მახარაძის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.
204. **ჩხარტიშვილი** მამია კონსტანტინეს-ძე—მახარაძის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
205. **შავიძე** თეოფილე ლუკას-ძე— ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „იმედის“ წევრი.
206. **შავიშვილი** ლეო ნიკიფორეს ასული — მახარაძის რაიონის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
207. **შალიკავა** ბიჭიკო ვარლამის-ძე — მახარაძის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
208. **შალიკავა** ქიფო ვარლამის ასული — მახარაძის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
209. **შამათავა** ვალენტინა აკაკის ასული — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
210. **შარაძე** ეკატერინე ფარნაოზის ასული — მახარაძის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
211. **შეწირული** ვერა სტეფანეს ასული — მახარაძის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
212. **ემინაძე** მემედ მუსტაფას-ძე— ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **არახამია** მაჭუტა ალექსანდრეს ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ წევრი.
2. **ბარამიძე** ცუცუ რაფიელის ასული — მახარაძის რაიონის კოლმეურნეობა „გზა სოციალიზმისაკენ“ წევრი.
3. **გვარამია** ლიმონი თადას ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ წევრი.
4. **გიორგაძე** ვლადიმერ სიმონის-ძე — მახარაძის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი.
5. **გოგაბერიშვილი** გალინა ლეონტის ასული — ვანის რაიონის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
6. **გოგოლაძე** ლიდა გლახუნის ასული — ჩოხატაურის რაიონის გორკის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
7. **გონიადი** პროკოფი ივანეს-ძე — ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
8. **დანელია** ძაძუ ალექსის ასული— გეგეჭკორის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
9. **დანელია** დუნია ბეგლარის ასული — გეგეჭკორის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
10. **ჯაბუა** ქუნა სიმონის ასული — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
11. **ჯანჯღავა** თამარ მალაქიას ასული — გეგეჭკორის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
12. **ჯიბუტი** ერმილე მარკოზის-ძე — ჩოხატაურის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
13. **ელიაძე** ვახტანგ პავლეს-ძე — მახარაძის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი.
14. **ეფრემიდი** თევდორე გიორგის-ძე — ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
15. **ჟღენტი** დანიელ ვარდენის-ძე— ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ მერგოლური.
16. **კალანდაძე** მარუსია ისაკის ასული — ჩოხატაურის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
17. **კალანდაძე** ფაცია თევდორეს ასული — ჩოხატაურის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
18. **კალანდაძე** შუშანა ანტონის ასული — ჩოხატაურის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
19. **კვესიეშვილი** ჯემალ ახმედის-ძე — ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
20. **კობიძე** ვასასი გიორგის ასული — ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრი.
21. **კობიძე** ვახტანგ ერმილეს-ძე — ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ ბრიგადირი.
22. **კობიძე** ირაკლი შევარდენის-ძე — ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ მერგოლური.
23. **კოხია** ქეთია გიორგის ასული— გეგეჭკორის რაიონის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
24. **კოხია** ქსენია ივანეს ასული — გეგეჭკორის რაიონის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
25. **კუტუბიძე** ვეროჩკა თომას ასული — ჩოხატაურის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
26. **კუტუბიძე** სონია გიორგის ასული — ჩოხატაურის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
27. **კუტუბიძე** თამარ კალისტეს ასული — ჩოხატაურის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
28. **ლეჟავა** თამარ ვასილის ასული — ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „იმედის“ წევრი.
29. **ლომაძე** დარია სერგის ასული — ჩოხატაურის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
30. **ლომთათიძე** თამარ ვლადიმერის ასული — ჩოხატაურის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
31. **მანჯავიძე** ოლია ავქსენტის ასული — ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „იმედის“ წევრი.
32. **მათითაიშვილი** ლასი ილიკოს ასული — ჩოხატაურის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
33. **მახარაძე** ქეთევან ეტლის ასული — ჩოხატაურის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
34. **მაჩკალიანი** იშხან ვართანის-ძე— მარნეულის რაიონის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
35. **მემარნიშვილი** ისიდორე ფილიპეს-ძე — მახარაძის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.
36. **მინდაძე** მაშიკო ხლიმის ასული — ცაგერის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
37. **მონიავა** ქეთია ალექსანდრეს ასული — გეგეჭკორის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
38. **მონიავა** თამარ ათანასეს ასული — გეგეჭკორის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
39. **ნადირაძე** არქიპო მიხეილის-ძე — საჩხერის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
40. **ნადირაძე** ილარიონ მათეს-ძე — საჩხერის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
41. **ნანაძე** მარგალიტა არსენის ასული — ჩოხატაურის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
42. **ნაჭყებია** ლენა კალისტრატეს ასული — გეგეჭკორის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
43. **ნიკაცაძე** შოთა თომას-ძე—ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „იმედის“ წევრი.
44. **სართანია** მადა ჯარუს ასული— გეგეჭკორის რაიონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
45. **სულაბერიძე** მარო ვლადიმერის ასული — გეგეჭკორის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
46. **სულთანიანი** არამაის ასკერის-ძე — მარნეულის რაიონის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
47. **უჯმაჯურიძე** სერგი იაგორის-ძე — ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ ბრიგადირი.
48. **ხარაბაძე** ვლადიმერ აფრასიონის-ძე — ვანის რაიონის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
49. **ხელაძე** ტიტიკო ექვთიმეს-ძე — მახარაძის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.
50. **ხურციძე** მოსე ფილიპეს-ძე — ვანის რაიონის 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
51. **ცენტერაძე** ალექსანდრე რამაზის-ძე—ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.
52. **წულაია** ნადია კონსტანტინეს ასული — გეგეჭკორის რაიონის გეგეჭკორის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
53. **ჩაკვეტაძე** ინდიკო კონსტანტინეს-ძე — ცაგერის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
54. **ჩარგაზია** ქეთია მაქსიმეს ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ წევრი.
55. **ჩხიკვაძე** ქეთია იოსების ასული — ჩოხატაურის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. შვერნიკი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**
მოსკოვი, კრემლი. 1951 წლის 1 სექტემბერი.

* დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ №№ 217, 218, 223, 224, 225.

ახალგაზრდობის კრება მიძღვნილი მშვიდობისათვის ბრძოლისადმი

21 სექტემბერს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ახალგაზრდობის კრება, რომელიც მიეძღვნა მშვიდობისათვის ბრძოლას. კრებას დაესწრნენ უცხოეთის პროგრესული ახალგაზრდობის ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც სტუმრად იმყოფებიან საბჭოთა კავშირში საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის მოწვევით.

ხანგრძლივი მქუხარე ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

მოხსენება — „ახალგაზრდობა მშვიდობისათვის ბრძოლაში“ გაცეთა საკავშირო ალკკ მოსკოვის კომიტეტის მდივანმა ამხ. სიზოვმა. მან თქვა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა მხურვალე მონაწილეობას იღებს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიაში, რომელიც ახლა გაჩაღებულია ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა ახალგაზრდობა ამ მიმართვაზე ხელმოწერას დაადასტურებს სტახანოვური შრომით ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების განსამტკიცებლად, აქტიური ბრძოლით დემოკრატიისა და პროგრესისათვის.

მშვიდობის დაცვისათვის სიტყვები წარმოთქვეს და მშვიდობისათვის ახალგაზრდა მებრძოლთა მეგობრობის განმტკიცებისაკენ მოუწოდეს მოსკოვის უნივერსიტეტის ახალი შენობის მომპირკეთებელმა მუშამ დ. შიბაევმა, მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სტუდენტმა გ. ტოროპოვამ, ლენინის რაიონის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნემ ა. ევლენტიევამ, სსრ კავშირის დიდი თეატრის ბალერინამ ლ. ბოგომოლოვამ.

კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმომადგენლის ლიუ ძუს, ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული ახალგაზრდობის დელეგაციის ხელმძღვანელის ჩარლზ უაიტის, თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის წევრის გუსტავ ფიიგერის, ინდონეზიის ახალგაზრდობის დელეგაციის ხელმძღვანელის ბაზოროდინის, კანადელი ქალიშვილის კაროლი კელის, ტაილანდის წარმომადგენლის ლამდიაკ საპსუნტონის და ბრაზილიის დელეგაციის წევრის ჟიული სილვას სიტყვებს.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მხარს უჭერენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ.

კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება მშვიდობის მედროშის დიდი სტალინისადმი.

ჭაბუკები და ქალიშვილები სხვადასხვა ენებზე ერთიანი აღფრთოვანებით ასრულებენ დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნს. (საკდესი).

მაღალი შენობების ლიფტები

მოსკოვის ახალი უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის ლიფტის კაბინს თერთმეტი გასაჩერებელი აქვს. სართულებს შორის 70 მეტრ სიმაღლეზე „მგზავრობას“ ნახევარ წუთზე ნაკლები დრო სჭირდება.

ასზე მეტი ასეთი სწრაფმავალი ლიფტი იმუშავებს უნივერსიტეტის შენობაში. აქედან ნახევარზე მეტს მთავარ კორპუსში ამონტაჟებენ.

ამჟამად ბევრი ამწე მანქანა კეთდება კოტელნიკის სანაპიროს 32-სართულიან საცხოვრებელ სახლში, მაღალ შენობებში სმოლენსკის მოედანზე და წითელ კართან.

კოტელნიკის სანაპიროს სახლის ცენტრალურ ნაწილში ტრესტის სპეციალისტები ამჟამად ათ ლიფტს აკეთებენ. ეს ლიფტები დიდი სიჩქარით იმუშავებენ. ორმოცზე ცოტა მეტ წამში სახლის მობინადრენი ყველაზე ზედა სართულში ავლენ.

საბჭოთა ინჟინრების დიდი ჯგუფი მუშაობდა სამამულო ჩქაროსნული ლიფტების გაუმჯობესებაზე.

მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს ქარხნებმა აითვისეს მაღალი შენობების სამი ტიპის ლიფტის წარმოება: ზოგიერთი მათგანი განკუთვნილია პირველი სართულების მომსახურებისათვის და იმუშავებს წამში 1,5 მეტრი სისწრაფით, ზოგიერთი წამში 2,5 მეტრი სისწრაფით, ზოგიც—წამში 3,5 მეტრი სისწრაფით.

მაღალ შენობებს გაუკეთებენ აგრეთვე სატვირთო ლიფტებს. (საკდესი).

ქვანახშირის ამოსაღები ახალი ექსკავატორი

კრამატორსკი, 21 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ნოვო-კრამატორსკის სტალინის სახელობის ქარხნის მანქანათმშენებლებმა გამოუშვეს მორიგი მოდერნიზებული მოსიარულე ოთხკუბიანი ექსკავატორი.

მიწისსათხრელი მანქანა განკუთვნილია „ტულაუგოლის“ შახტებში სამუშაოდ. მას შეუძლია ერთ საათში 20 ვაგონი გრუნტი ან ქვანახშირი ამოიღოს 32 მეტრი სიღრმის სანგრევიდან.

პარტიული ცხოვრება

მეშახტე კომუნისტები ქვანახშირისათვის ბრძოლის სათავეში

ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივს მაღალ საწარმოო წარმატებათა მოპოვებისათვის წელს ორჯერ მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

ამ წარმატების მოპოვებაში თვალსაჩინოა შახტის პირველადი პარტიული ორგანიზაციის როლი. პარტიული ორგანიზაცია ღრმად ჩაწვდა შახტის საწარმოო ცხოვრებას და შეძლო მეშახტეთა მთელი კოლექტივის დარაზმვა დიდი სტალინისათვის გაგზავნილ წერილში ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად.

პარტიული ხელმძღვანელობის ხელოვნება ის როდია, რომ მთელი ძალები მიაშველო წარმოების რომელიმე უბანს, მაშინ როცა იქ ღრმა გარღვევები აღმოჩნდება; მთავარია ჩამორჩენის დროულად შემჩნევა, ხელშემშლელ მიზეზთა სწრაფად გამოსწორება. სწორედ ასე იქცევა ლენინის სახელობის შახტის პარტიული ორგანიზაცია და მისი მდივანი ჭ. კუბლაშვილი.

შახტის მეორე საექსპლოატაციო უბანი ივლისში ჩამორჩა. უბნის ხელმძღვანელობის აზრით, ჩამორჩენა გამოწვეული იყო საექსპლოატაციო ველის გამოთავების შედეგად შექმნილი რთული გეოლოგიური პირობებით, სანგრევის ხაზის შემცირებით. ამავე აზრს იზიარებდა საუბნო პარტიული ორგანიზაციის მდივანი მ. ქარქაშაძე.

პარტბიურომ გადაწყვიტა დაწვრილებით გასცნობოდა მეორე საექსპლოატაციო უბანში შექმნილ ვითარებას. გამოჰყვეს კომისია მცოდნე, გამოცდილი ადამიანებისაგან. გამოირკვა, რომ უბნის ჩამორჩენა გამოწვეული იყო არა საექსპლოატაციო ველის გამოთავებით, არამედ იმით, რომ უბნის ხელმძღვანელობამ მიივიწყა სამუშაო ფრონტის მომზადებისათვის წინასწარი სამთო-მოსამზადებელი მუშაობის წარმოება. პარტბიურომ უბნის ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ მიიღო კონკრეტული ღონისძიებანი. ბიუროს წინადადებით უბანში სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება დაევალა კომპლექსურ ბრიგადებს, დაწესდა ყოველდღიური კონტროლი გათხრის სამუშაოებზე. აგიტატორები სისტემატურად აცნობდნენ მეშახტეებს უბანში შექმნილ მდგომარეობას, რაზმავდნენ მთელ ძალებს ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ. ისინი სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას, საუკეთესო სტახანოველ მეშახტეთა გამოცდილების გავრცელებას. განმტკიცდა შრომის დისციპლინა, დაჩქარდა მოსამზადებელი სამუშაოები, უკეთესად გამოიყენეს სამთო მექანიზმები. უბანმა კვლავ იწყო დავალების გადაჭარბებით შესრულება. აგვისტოში გეგმის გადამეტებით ამოღებულ იქნა 500 ტონამდე ქვანახშირი.

პარტიული ორგანიზაცია კარგად ახორციელებს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლს. პარტბიუროს სხდომაზე და პარტიულ კრებებზე რამდენჯერმე მოისმინეს უბნის უფროსების ნ. ცერცვაძის, ი. ზვიადაძის, შ. შოთაძის, გ. რაზმაძის, ცვლის უფროსების ა. მოწონელიძის, მ. ბოჭორიშვილის და ბრიგადირ ი. გვენეტაძის ინფორმაცია უბნების, ცვლებისა და ბრიგადების მიერ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვის შესახებ. კომუნისტები სისტემატურად მსჯელობენ საწარმოო საქმიანობის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე.

აგვისტოს დამდეგს დაიწყო მესამე საექსპლოატაციო უბნის ქვანახშირის ჩამოსაშვები ცენტრალური შუროს კაპიტალური რემონტი. გათვალისწინებული იყო რემონტის მოკლე დროში დამთავრება, რათა ხელი არ შეშლოდა ქვანახშირის ამოღებას. მაგრამ სარემონტო სამუშაოები თავიდანვე ნელი ტემპით წარიმართა. პარტბიურომ მოიწვია აქტივის საწარმოო თათბირი. თათბირზე გამოირკვა, რომ რემონტის ჩამორჩენის მიზეზი იყო ერთი მხრივ უბნის უფროსის ი. ზვიადაძის მოუქნელი მუშაობა, მეორე მხრივ ის, რომ საუბნო პარტიულმა ორგანიზაციამ შეანელა კონტროლი სამეურნეო საქმიანობისადმი, არ გადაავგუფა ძალები ამ ახალი დავალების შესაბამისად. საწარმოო თათბირმა მდგომარეობის გამოსასწორებლად დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი. პარტბიუროს მითითებით სარემონტო ბრიგადის გასაძლიერებლად სხვა უბნიდან გადმოიყვანეს ძველი მეშახტე — სპეციალისტი თ. გვენეტაძე, სპეციალურად დამზადდა რემონტისათვის საჭირო ყველა ხის მოწყობილობა. ამან კარგი შედეგი გამოიღო — შუროს რემონტი ვადაზე ადრე დამთავრდა.

სტალინის სახელობის შახტის კომუნისტებმა გააჩაღეს ბრძოლა ქვანახშირის ამოღების ახალი, მეცნიერულად გამართლებული მეთოდის — ჰიდრავლიკური ვსების მეთოდის ასათვისებლად. ეს მეთოდი მთლიანად სპობს მიწისქვეშა ხანძრებს, ხოლო ქვანახშირის დანაკარგს საგრძნობლად ამცირებს. თუ რა წარმატება ხვდა ამ საქმეს, ამაზე ფაქტები მეტყველებს. საკმარისია ითქვას, რომ მიმდინარე წლის რვა თვეში შახტის მიერ მოპოვებული მთელი ქვანახშირის 58 პროცენტი ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით იქნა ამოღებული.

ჰიდრავლიკური ვსების წესის საკითხების გადასაჭრელად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სამთო ინჟინერმა კომუნისტმა ნ. ციცხვაიამ და შახტის ყოფილმა უფროსმა, ამჟამად ახალციხის შახტთა სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დაწინაურებულმა კომუნისტმა ლ. რატიანმა. მათ შეიმუშავეს და პრაქტიკულად განახორციელეს რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც ჰიდრავლიკური ვსების წესის ყველაზე რთულ პრობლემას შეეხებოდა. მნიშვნელოვანი წინადადებების ავტორები არიან მოწინავე კომუნისტები — შახტის მთავარი მექანიკოსი შ. კაკაბაძე, უბნის უფროსი ლ. ვაშაკიძე, მექანიკოსები დ. გვენეტაძე, მ. სოფრომაძე, მნგრეველები ა. ბაკურაძე, დ. სუქნიძე და სხვები. ამჟამად მთელი რიგი ღონისძიებანი ხორციელდება ქვანახშირის ფენების დამუშავების ამ მოწინავე მეთოდის ლენინისა და მოლოტოვის სახელობის შახტებში დასანერგავად.

პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს მეშახტეთა შორის მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. შახტში შექმნილია სამი აგიტკოლექტივი. ბევრი აგიტატორი უშუალოდ სანგრევში სტახანოვურად მუშაობს და პირადი მაგალითით აღაფრთოვანებს მეშახტეებს ახალი წარმატებების მოსაპოვებლად. ასეთებია მნგრეველ-მებიგებები ივ. ორჯონიკიძე, შ. გვენეტაძე, დ. ტრუფანოვი, თ. გიორგაძე, ს. ლიტვინოვი, დ. კუბლაშვილი და სხვები, რომლებიც ყოველთვიურად დავალებას 150-200 პროცენტით ანაღდებენ.

შახტში შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმის — ციკლური გრაფიკის დანერგვის ინიციატორებად გამოვიდნენ კომუნისტები. პირველი სექტემბრიდან მეოთხე საექსპლოატაციო უბანში, რომელსაც გამოცდილი სამთო ტექნიკოსი, ორჯერ ორდენოსანი კომუნისტი ვ. ნანიკაშვილი ხელმძღვანელობს, ოთხმა მძლავრმა ლავამ წარმატებით დაიწყო ციკლური გრაფიკით მუშაობა. ციკლური გრაფიკის დანერგვის შედეგად უბანში მკვეთრად გადიდდა ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება, გაიზარდა სტახანოველთა და დამკვრელთა რიგები. ციკლური გრაფიკით გათვალისწინებულ სამუშაოებს პირველი დღეებიდანვე სტახანოვურად ასრულებენ ის ბრიგადები, რომლებსაც კომუნისტები შ. ბანძელაძე და დ. ტრუფანოვი ხელმძღვანელობენ. შ. ბანძელაძის ბრიგადამ ახალი მეთოდით მუშაობის დაწყების პირველსავე დღეს სანგრევის ხაზი გრაფიკით გათვალისწინებული 0,9 მეტრის ნაცვლად წინ წაიწია 1,3 გრძივ მეტრზე და ქვანახშირის მონგრევის დავალება 144 პროცენტით შეასრულა.

პარტიის რაიკომი და შახტების პირველადი პარტიული ორგანიზაციები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ წლის ბოლომდე ციკლური გრაფიკით მუშაობაზე გადაიყვანონ კიდევ 3 მძლავრი ლავა, მიაღწიონ ყველა უბნის, ცვლისა და ბრიგადის რიტმულ მუშაობას, რათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულდეს ქვანახშირის ამოღების მიმდინარე წლის გეგმა.

ვ. ცირეკიძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

საბჭოთა ეთნოგრაფების შრომები

ლენინგრადი. (საკდესი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნ. ნ. მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოგრაფიულ ინსტიტუტში დაწყებულია სსრ კავშირის ხალხებისადმი მიძღვნილი კაპიტალური შრომების გამოცემა. ამ მუშაობაში ენერგიულ მონაწილეობას იღებენ ლენინგრადელი ეთნოგრაფები.

ახლა გადაცემულია დასაბეჭდად ჩრდილოეთ და სამხრეთ ციმბირის ხალხებისადმი მიძღვნილი ტომი. იგი შეიცავს ნენეცების, მანსის, ევენკების, ჩუქჩების, ესკიმოსების, იაკუტების, ალტაელებისა და ციმბირის სხვა ხალხების ისტორიის, ეკონომიკის, ყოფა-ცხოვრების და კულტურის უძვირფასეს მასალებს. მასალები ცხადყოფენ, თუ როგორ გამოიწვია ამ ხალხების მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობა და როგორ შექმნა მათი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის ყველა პირობა ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის დიადი პრინციპების განხორციელებამ.

ლენინგრადელმა ეთნოგრაფებმა აგრეთვე მოამზადეს უზბეკეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და ყირგიზეთის ხალხებისადმი მიძღვნილი ტომი.

ერთი დაუმთავრებელი საქმის ისტორია

ქრონოლოგიურად მოვლენები ასეთი თანმიმდევრობით ვითარდებოდა:

1948 წელი. ძმები მ. და დ. ელიკაშვილები ზესტაფონიდან ჭიათურას მოვიდნენ. მართალია, ელიკაშვილებს გარკვეული ცოდვები გამოჰყვათ ზესტაფონიდან, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს ჭიათურის რაიკოოპერატივში მოკალათება. აქ ელიკაშვილებს დახვდათ საკმაოდ გაქნილი კომბინატორი ბენია ფალავანდიშვილი. იგი რაიკოოპერატივის სავაჭრო განყოფილებას განაგებდა. გულმა გული იცნო, და ფალავანდიშვილ-ელიკაშვილები შეუდგნენ „მოღვაწეობას“.

1949 წლის 16 სექტემბერი. გაზეთმა „კომუნისტმა“ კორესპონდენციაში „აქტები, ხელწერილები და სინამდვილე“ — ამხილა რაიკოოპერატივში მომხდარი ბოროტმოქმედების რამდენიმე ფაქტი. არ შეიძლება ითქვას, რომ პარტიის რაიონულმა კომიტეტმა აღნიშნული კორესპონდენცია უყურადღებოდ დატოვა. ბიუროსათვის საკითხი მოამზადა რაიკომის მდივანმა ამხ. ა. კუპატაძემ. სპეციალურმა კომისიამ საბოლოოდ დაადასტურა ციფრები. ბიუროს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა რაიონის პროკურორი ამხ. ა. ყაველაშვილი, რომელმაც დაადასტურა, რომ ამბროლაურში ღვინის შეძენისა და ტრანსპორტის ხარჯების აქტები ყალბად შედგენილია ჭიათურაში ბ. ფალავანდიშვილისა და შ. წერეთლის მიერ, რომლებმაც ამ კომბინაციით ხელი მოითბეს. ისიც დადასტურდა, რომ რაიმაღაზიამ გაყიდა კოლმეურნეობებისათვის მისაცემი 2.485 კილოგრამი ზეთი, რომ 1.680 კილოგრამ ზეთზე შედგენილი იყო ყალბი ხელწერილები, რომლებზეც აღნიშნული არ იყო არც წელი, არც თვე, არც რიცხვი. დადასტურდა ისიც, რომ მაღაზიას ერთდროულად დაეწერა საწყობიდან კოლმეურნეობებისათვის მისაცემი ზეთი კილოგრამი 7 მანეთად და 50 კაპიკად, აგრეთვე თავისუფლად გასაყიდი 25 და 30 მანეთიანი ზეთი (იბადება კითხვა: რა საჭირო იყო კოლმეურნეობებისათვის მისაცემი ზეთის საწყობიდან მაღაზიაში გატანა? პასუხი გარკვეულია: საწყობის გამგეს და მაღაზიის გამგეს ძმებს მ. და დ. ელიკაშვილებს ამით სურდათ ეკეთებინათ მათთვის ჩვეული შავბნელი საქმეები). კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმაც დაადასტურეს, რომ ყალბ ხელწერილებში აღნიშნული ზეთი არ ჰქონდათ მიღებული.

ყველაფერი ნათელი და გარკვეული იყო. ბოროტმოქმედებმაც სცნეს დანაშაული. ბიურომ დადგენილება მიიღო.

1949 წლის 5 ოქტომბერი. გაზეთ „კომუნისტში“ ვკითხულობთ:

„საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანი ამხ. შ. ხიდაშელი გვატყობინებს, რომ კრიტიკა რაიკოოპკავშირის მუშაკების მიმართ სავსებით სწორია. ღვინის შესყიდვასა და სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე ყალბი აქტების შედგენისათვის ჭიათურის რაიკოოპკავშირის ვაჭრობის განყოფილების გამგე ბ. ფალავანდიშვილი პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს დადგენილებით მოხსნილია სამუშაოდან.

სოიის დასაქონლებაზე კოლმეურნეობებისათვის გასაცემი ზეთის განიავებისათვის სამუშაოდან მოიხსნა მაღაზიის გამგე დ. ელიკაშვილი. სოფელ ზედაუსახელოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. სამხარაძეს რაიკომის ბიურომ დაადო პარტიული სასჯელი.

დამნაშავეთა საქმე გადაეცა რაიონის პროკურორს“.

აქვე დავძენთ, რომ რაიკომის ბიურომ პროკურატურას გამოძიების დამთავრება ათ დღეში დაავალა.

ჯერ კიდევ ბიუროს დადგენილებამდე — სექტემბრის შუა რიცხვებში რაიონის პროკურორმა ამხ. ა. ყაველაშვილმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო:

„მივიღე რა მხედველობაში, რომ ნამდვილად დანაშაული ჩაიდინეს ბ. ფალავანდიშვილმა და შ. წერეთელმა, რაც საბაბს მაძლევს აღვძრა საქმე სისხლის სამართლის წესით და გამოძიება დავავალო ჩემს გამომ. მანთაშევს. ვადა გამოძიებისა ათი დღე“.

გამომძიებელმა ს. მანთაშევმა მიიღო გამოძიება. საქმე აღიძრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მეოთხე მუხლით. ეს იყო და ეს. მეტი პროკურატურას ამ საქმეზე არაფერი გაუკეთებია.

სექტემბრის ბოლო რიცხვებში ბ. ფალავანდიშვილი და შ. წერეთელი აცილებას აძლევენ ჭიათურის რაიონის პროკურატურას იმ მოტივით, რომ მათთან პროკურატურის თანამშრომლები კეთილგანწყობილებაში არ იმყოფებიან... „წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს მიერ დასმულ შეკითხვებზე და საერთოდ საქმის გარშემო ჩვენებას არ ვიძლევითო“.

აქ პატარა შენიშვნა: ბრალდებულთა მომიზეზება საფუძველს მოკლებულია და ჭიათურელებში ამან მხოლოდ გულნატკენი ღიმილი გამოიწვია. პროკურატურის თანამშრომლები მათთან არასოდეს ცუდად განწყობილი არ ყოფილან და არც არიან. სწორედ ამ მიზეზმა გამოიწვია საქმის აცილება. ნაცადი ხერხია!

ასე იყო თუ ისე, საქმის გამოძიება საჩხერის რაიონის პროკურატურას დაევალა. 1949 წლის 28 სექტემბერს რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსი ამხ. ქვანია საჩხერის რაიონის პროკურორს ამხ. აბრამაშვილს სწერდა: „გიგზავნით წერეთლისა და სხვათა ბრალდების საქმეს ჭიათურის რაიპროკურატურის აცილების გამო. გთხოვთ უზრუნველყოთ გამოძიების დამთავრება მოკლე დროში“.

მაგრამ საჩხერეში საქმეს რატომღაც მსვლელობა არ მიეცა. 1949 წლის 22 ოქტომბერს რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილებამ საჩხერის პროკურატურას შეახსენა: „აღნიშნული საქმე გადმოგეგზავნათ 28 სექტემბერს, რომელიც 1/X ჩხიკვიშვილმა გადასცა ქურდაძეზე სათანადო მითითებით გამოძიების ჩასატარებლად. ყოველგვარი საფუძვლის გარეშე საქმე უმოძრაოდ იყო გაჩერებული 17/X-მდე. გავალებთ მიიღოთ საქმე წარმოებაში და უმოკლეს ვადაში დაამთავროთ გამოძიება“. (მიმართვის ტექსტის სიზუსტე დაცულია. პ. ჭ.).

ამ მიმართვას საჩხერის რაიონის პროკურორმა ს. აბრამაშვილმა 1949 წლის 28 ოქტომბერს ასეთი რეზოლუცია დაადო: „ამხ. ჩხიკვიშვილს. მიიღეთ საქმე თქვენს წარმოებაში. გთხოვთ მოეკიდოთ მთელი სერიოზულობით და გამოძიება დაამთავროთ 10 დღეში — 9 ნოემბრისათვის წარმოადგინოთ საქმე საბრალდებო დასკვნით“.

საქმე ჭიანურდებოდა, ბოროტმოქმედთ ქირისუფლები ემატებოდნენ, დამნაშავენი კი თავის დაძვრენაზე მუშაობდნენ. ბოლოს, როცა ფაქტებს ვეღარ გაექცა, საჩხერის რაიონის პროკურორის თანაშემწემ გ. ჩხიკვიშვილმა 1949 წლის 5 ნოემბერს ასეთი დადგენილება გამოიტანა:

„მივიღე რა მხედველობაში, რომ მოქ. შ. წერეთელი მუშაობდა რა ჭიათურის რაიკავშირის სასადილოში მებუფეტეს თანამდებობაზე, მან და რაიკავშირის სავაჭრო განყოფილების გამგე ბ. ფალავანდიშვილმა ურთიერთ შეთანხმებით ყალბი ხელწერილებით და სხვა დოკუმენტებით მიითვისეს 27.800 მანეთი, რის შედეგად დავადგინე: მივცე პასუხისგებაში შ. კ. წერეთელი“.

სად არის აქ ლოგიკა? ყალბი ხელწერილებით და ურთიერთშეთანხმებით დანაშაული ჩაიდინეს ორივემ — ფალავანდიშვილმა და წერეთელმა, პასუხისგებაში კი მხოლოდ ფალავანდიშვილის ხელქვეითი შ. წერეთელი მისცეს. ეს როგორღაც არ გამოდის!

რა ჰქნეს ელიკაშვილებმა? დრო კარგად გამოიყენეს. ბუხჰალტრული ჩანაწერები თითქოს წესრიგზე მოიყვანეს და პროკურატურას ხელახალი ექსპერტიზა დაანიშვნინეს. ექსპერტიზა ჩაატარეს კომბინაციებისათვის მრავალგზის პასუხისგებაში ნამყოფმა, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ბუხჰალტერმა ტ. ტრაპაიძემ და ნ. ფარულავამ. ჩვენ გვაეჭვებს ამხ. ფარულავას ობიექტურობაც ზეთის საკითხში, რადგან იგი მუშაობს დამზადების სარწმუნებულის ბუხჰალტრად, ხოლო ელიკაშვილებმა კოლმეურნეობებისათვის მისაცემი ზეთი მაღალ ფასებში გაყიდეს სწორედ დამზადების სარწმუნებულის წაყრუებით. ესეც არ იყოს, ამხ. ფარულავას მეუღლე იმხანად მუშაობდა სოფელ წინსვლის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ და საქმეში არსებობს მისი ყალბი ხელწერილიც 126 კილოგრამი ზეთის მიღებაზე, რომელიც სინამდვილეში მას კოლმეურნეობაში არ მიუტანია. ბუნებრივია, როგორი იქნებოდა ასეთი ექსპერტების დასკვნა. ექსპერტიზამ რაიკოოპკავშირის ბუხჰალტრების თანადასწრებით ელიკაშვილებს ზეთის მცირე დანაკლისი გამოუყვანა და ეს ნორმალურ დანაკლისად ჩაუთვალა. საკვირველია! მათ დანაკლისს კი არა, კოლმეურნეობების კუთვნილი ზეთის გაყიდვას და ამ გზით ფულის მითვისებას აბრალებდნენ.

აქტის ბოლოს ელიკაშვილები დასძენენ: „აქტის სინამდვილეს ვეთანხმებით, ყოველგვარი შენიშვნის გარეშე“. მართლაც და, რაღა ჰქონდათ სადავო?

ელიკაშვილებმა ზეთის კომბინაციიდან თავი დაიძვრინეს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს საქმეში ზეთის თაობაზე არსებულ ყალბ ხელწერილებს. ამიტომ საჩხერის რაიონის პროკურატურამ 1949 წლის 25 ნოემბერს რესპუბლიკის პროკურორს სთხოვა წერეთლის, ფალავანდიშვილის და ელიკაშვილების საქმის აცილება და ჭიათურის რაიონის ან ქალაქის პროკურატურისათვის გადაცემა. ამაზე საჩხერეში 26 დეკემბერს მიიღეს რესპუბლიკის პროკურორის ამხ. ვ. შონიას უარი. აქვე ამხ. შონია დასძენდა: „საქმე აყვანილია კონტროლზე — გამოძიება დააჩქარეთ“.

პროკურორმა ს. აბრამაშვილმა მიმართვას კვლავ დაადო რეზოლუცია: „ამხ. ქურდაძეს! მიიღეთ საქმე თქვენს წარმოებაში, მოეკიდეთ მთელი სერიოზულობით, საქმის დამთავრება უზრუნველყავით 10 დღეში“. ქურდაძე, რომელიც შემდეგ გააძევეს პროკურატურის ორგანოებიდან, 31 დეკემბერს შეუდგა გამოძიებას.

1950 წლის 24 იანვარი. რესპუბლიკის პროკურატურიდან ამხ. ქვანია სწერს საჩხერის რაიონის პროკურორს ამხ. აბრამაშვილს:

„თქვენს წარმოებაშია საქმე ბრ. გამო ბ. ს. ფალავანდიშვილის, შ. კ. წერეთლისა და სხვათა ბრალდებაზე. გთხოვთ გვაცნობოთ დამთავრდა თუ არა გამოძიება აღნიშნულ საქმეზე“. (მიმართვის ტექსტის სიზუსტე დაცულია. პ. ჭ.).

1950 წლის აპრილი. როგორც იქნა, ძიება დამთავრდა (სხვა საქმეა როგორ დამთავრდა!) და განსახილველად გადაეცა საჩხერის სახალხო სასამართლოს. 1950 წლის 17 მაისს საჩხერის სახალხო სასამართლომ საქმე აიცილა. იმავე წლის ივლისში საქმე გადაეცა ქ. ჭიათურის II უბნის სახალხო სასამართლოს (მოსამართლე ვ. შენგელია). აქ თვეობით შეჩერდა აღნიშნული საქმე. მოსამართლეს მხოლოდ 1951 წლის იანვარში გაახსენდა აეცილებინა აღნიშნული საქმის განხილვა. ამის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. მ. ლომიძე ქ. ჭიათურის II უბნის მოსამართლეს 1951 წლის 14 თებერვალს სწერდა:

„შეუწყნარებელია საქმის ასე გაჭიანურება. თვეობით საქმე უმოძრაოდ ინახებოდა თქვენთან და არც ქვემდებარება გაარკვიეთ და არც მიიღეთ წარმოებაში, რაც ყოვლად დაუშვებლად უნდა იქნას მიჩნეული.

გიბრუნებთ რა საქმეს უკანვე, გავალებთ მიიღოთ გადამჭრელი ზომები საქმის უახლოეს დროში განსახილველად“.

ამას წერს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, მაგრამ მოსამართლეს ეყო გამბედაობა, ერთ თვეზე მეტით კიდევ დაეგვიანებინა საქმის განხილვა. პროცესი შედგა 1951 წლის 19 მარტს. საბრალდებო სკამზე იჯდა მხოლოდ შ. წერეთელი. სხვა ბრალდებულები მოწმეებად მოიწვიეს. პროცესმა უჩვენა, რომ მარტო წერეთელი როდია დამნაშავე. მოსამართლე იძულებული გახდა საქმე მითითებით კვლავ პროკურატურისათვის დაებრუნებინა.

1951 წლის 26 მაისი. ამხ. ქვანია კვლავ სწერს საჩხერეში ამხ. აბრამაშვილს:

„მიიღეთ საქმე წარმოებაში, შეასრულეთ სახ. სასამართლოს მითითებანი და უზრუნველყავით გამოძიების უმოკლეს ვადაში დამთავრება“.

1 ივნისს ამხ. აბრამაშვილმა გამომძიებელ გ. გაფრინდაშვილს საქმე გაზეპირებული რეზოლუციით გაუგზავნა: „მიიღეთ საქმე თქვენს წარმოებაში, მოეკიდეთ მთელი სერიოზულობით და საქმე დაამთავრეთ სასწრაფოდ“.

ამხ. გაფრინდაშვილს არსებითად ბევრი არაფერი გამოუძიებია, და პროკურატურამ 1951 წლის 30 ივნისს დაადგინა, რომ შ. კ. წერეთელმა თვითონ უშუალოდ შეადგინა ყალბი დოკუმენტები და მიითვისა 3.300 მანეთი.

აქვე ნათქვამია: „მივიღე რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ბ. ფალავანდიშვილის მოქმედებაში თუმცა არის დანაშაულის ნიშნები, მაგრამ თავის ხასიათის მიხედვით მცირე მნიშვნელობისაა, რომ ფალავანდიშვილი პარტიის წევრია და დადებული აქვს სასჯელი — მოხსნილია ამ საქმის გამო სამსახურიდან, ამიტომ ვიხელმძღვანელე რა ღრ/წესების 55 მუხლით დავადგინე: ბ. ს. ფალავანდიშვილის მიმართ აღძრული ს. ს. საქმეზე გამოტანილი საქმის წარმოებით მოსპობის დადგენილება დავტოვე ძალაში. გამომძიებელი გ. გაფრინდაშვილი“. ყველაფერი ეს დაამტკიცა პროკურორმა ს. აბრამაშვილმა.

აი ესეც დადგენილება: ფალავანდიშვილს მცირე დანაშაული აქვს ჩადენილიო! განა წერეთელი მან არ წაიყვანა რაჭაში და ერთად არ გააკეთეს კომბინაცია? განა პარტიის წევრობა ნებას აძლევს პიროვნებას ჩაიდინოს დანაშაული? სამსახურიდან არის მოხსნილიო, ეს თვალის ახვევაა! იგი ხომ ერთი წელია საჩხერის რაიკოოპკავშირის ვაჭრობის განყოფილებას განაგებს? ასევე არხეინად გრძნობენ თავს სხვა დამნაშავეებიც.

აღნიშნული საქმე 1951 წლის აგვისტოში მიიღო ქ. ჭიათურის II უბნის სახალხო სასამართლომ და დღემდე უძრავად არის. პასუხისგებაში მიცემულია მხოლოდ შ. წერეთელი.

უკვე ორი წელია ჭიანურდება საქმე. რამდენი ათი დღე გავიდა მას შემდეგ? განა ეს არის საქმისადმი მთელი სერიოზულობით მოკიდება? თუ იმიტომ მოხდა ასე, რომ ნამდვილ დამნაშავეებს თავი დაეძვრინათ?

საინტერესოა: მაინც როდის და როგორ დამთავრდება ორი წლის წინათ დაწყებული საქმე?

პ. ჭიოკაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ფართოვდება რაიონის სავაჭრო ქსელი

ახმეტა. (საკ. კორ.). ახმეტის რაიონის ცენტრში დამთავრდა რაიონული მაღაზიის მშენებლობა, რომელიც 150.000 მანეთი დაჯდა. ამ მაღაზიაში სამი დღის განმავლობაში 75.000 მანეთის სამრეწველო საქონელი გაიყიდა.

რაიონის ცენტრში აგრეთვე გაიხსნა სამეურნეო საქონლის მაღაზია, რომელშიც უხვად არის სხვადასხვა ასორტიმენტის საქონელი.

ახმეტის რაიკოოპკავშირი სოფელ ზემო ხოდაშენში აშენებს მაღაზიის შენობას, რომლის აგება ამ დღეებში დამთავრდება.

მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება

ხალხური შემოქმედების ალმავლობა

თბილისის ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბში მოეწყო ბერიას რაიონის მხატვრული თვითმოქმედების სარაიონო დათვალიერება.

დათვალიერება დაიწყო იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის მომღერალ ქალთა გუნდის (ხელმძღვანელი ბ. წულაძე) გამოსვლით. გუნდმა კარგად შეასრულა სიმღერები — „მშვიდობის ხმა მზიურ საქართველოდან“, „სიმღერა ბერიაზე“, „სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის ჰიმნი“ (მუსიკა ვ. მურადელისა). შედარებით სუსტად იქნა შესრულებული სიმღერა „სხვა საქართველო სად არის“.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ცეკავშირის კლუბთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის (ხელმძღვანელი ნ. ხვიტია) მიერ შესრულებულმა სიმღერებმა.

შედარებით ღარიბი პროგრამით გამოვიდა თბილისის მასწავლებლის სახლის თვითმოქმედი კოლექტივი. თავიანთ შესაძლებლობებთან შედარებით სუსტად გამოიყურებოდნენ აგრეთვე ცენტრალური ტელეგრაფისა და პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივები.

კარგი იყო მედიცინის მუშაკთა ვოროშილოვის სახელობის კლუბის მიერ წარმოდგენილი კოლექტივები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა საესტრადო ორკესტრი შ. არაყიშვილის ხელმძღვანელობით. კარგად შეასრულა ორკესტრმა სიმღერა „რუსთაველისაკენ“.

წარმატება ხვდა საქართველოს კოოპკავშირის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (ხელმძღვანელი ვ. მახარაძე, ქორეოგრაფი გ. დარახველიძე, ინსტრუმენტთა ჯგუფის ხელმძღვანელი ლ. მახარაძე).

მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, ბერიას რაიონის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებს დიდი მუშაობა გაუწევიათ ნიჭიერი, მზარდი შემსრულებლების გამოვლინებისა და აღზრდისათვის.

მოწინავე თვითმოქმედი კოლექტივები

სოხუმი. (საკ. კორ.). მოეწყო აფხაზეთის რაიონების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების დათვალიერება.

სოხუმის რაიონულ დათვალიერებაში 200-ზე მეტმა კოლმეურნემ და მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა. წარმატება ხვდა რაიონული კულტურის სახლთან არსებულ ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (მხატვრული ხელმძღვანელი ვერა ბერია, ქორეოგრაფი მ. ყურაშვილი). მას უფლება მიეცა მონაწილეობა მიიღოს საოლქო და რესპუბლიკურ ოლიმპიადებში.

კელასურის სასოფლო კლუბთან არსებულმა მომღერალთა გუნდმა მასწავლებელ ჯ. კოპალიანის ხელმძღვანელობით კარგად შეასრულა „სიმღერა სტალინზე“, ხალხური სიმღერები „ნანგალი“, „ქონორაი დამეკარგა“, „ლეჩხუმური ნადური“ და სიმღერები მშვიდობის თემაზე.

კარგად დამუშავებული რეპერტუარით წარსდგნენ დათვალიერებაზე აგრეთვე სოფელ თავისუფლების კალინინის და გუმისთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებთან არსებული გუნდები.

თვითმოქმედი კოლექტივებისა და ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლინებისათვის რაიონულმა კულტურის სახლმა (დირექტორი კ. ყურაშვილი) ნაყოფიერი მუშაობა გასწია. კულტურის სახლი თვალსაჩინო კულტურულ მომსახურებას უწევს სოფლის მოსახლეობას. დრამწრემ წელს მოამზადა და სოფლის მოსახლეობას უჩვენა საკოლმეურნეო თემებზე დაწერილი პიესები — რ. ქორქიას „გამოცდა“, მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“, ს. ფაშალიშვილის „ჩაჩანაკი კაკანათში“ და სხვ. მთავარ როლებს ასრულებენ კოლმეურნე ლილი ქუთათელაძე, მასწავლებელი ლილი პაპავა, რაისაბჭოს აღმასკომის თანამშრომელი ნინო ბასილაია, მოსწავლეები ა. ქაროსანიძე და რ. ლაშხი.

კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადა საკოლმეურნეო მინდვრებში აწყობს საუბრებს და მართავს საღამოწარმოდგენებს.

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი

დუშეთი. (საკ. კორ.). კულტურის რაიონულ სახლთან ერთი წლის წინათ შეიქმნა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომლის მხატვრული ხელმძღვანელი და დირიჟორია ვ. ჭუმბურიძე.

ანსამბლი ნაყოფიერად მუშაობს. მის რეპერტუარში ახლა ორმოცამდე ხალხური და საბჭოთა კომპოზიტორების მიერ შექმნილი სიმღერაა. ანსამბლი წარმატებით ასრულებს სიმღერებს სტალინზე, ბერიაზე, მშვიდობაზე.

სტალინური პრემიის ლაურეატმა შ. აზმაიფარაშვილმა, კომპოზიტორებმა ვ. ჭუმბურიძემ და ო. ხუციშვილმა ანსამბლისათვის დაწერეს ახალი საგუნდო სიმღერები.

ანსამბლი გაცხოველებით ემზადება მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის. იგი ხშირად მართავს აგრეთვე კონცერტებს რაიონის კოლმეურნეობებში.

რა გვიჩვენა რთველის პირველმა დღეებმა

წელს გურჯაანის რაიონში ყურძნის უხვი მოსავალია.

სოფელ კოლაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე შ. ამისულაშვილი) ვენახი წინა წლებში ცუდად მუშავდებოდა, ნიადაგი დაყამირებული იყო. 1949 წელს კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ 18 ცენტნერი ყურძენი მიიღო. რაიონის ყველა კოლმეურნეობაში კი ჰექტარზე 50-60 ცენტნერი მოიყვანეს. აქედან კოლმეურნეობის ახალმა ხელმძღვანელობამ სათანადო დასკვნა გააკეთა და კოლმეურნეთა მთელი ძალები დარაზმა ვენახების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის. კოლაგელებს წელს საამაყო მოსავალი აქვთ — ჰექტარზე საშუალოდ 70 ცენტნერ ყურძენს იღებენ.

რთველი დაიწყო ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ვლადიმერ ოსოშვილი). აქ ყურძნის კრეფაზე ორასამდე კოლმეურნე მუშაობს. გეგმით გათვალისწინებული 55 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ 65 ცენტნერ ყურძენს კრეფენ. ამ საქმეში სოციალისტური შრომის გმირების თამარ მაისურაძის, ივანე ნაცვლიშვილის და დავით კუტიბაშვილის ბრიგადებსა და რგოლებს ტოლი არა ჰყავთ.

კარდანახის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე იოსებ ბერიანიძე) ვენახები 85 ჰექტარზეა გაშენებული. კარდანახლებმა რთველი დაიწყეს, პირველი მოსავალი სახელმწიფოს დამამზადებელ პუნქტში გაგზავნეს. ხუთმა ავტომანქანამ სამ დღეში 45 ტონა ყურძენი გადაზიდა. კარდანახლებს გათვალისწინებული აქვთ ყურძნის ჩაბარების გეგმა ორასი პროცენტით შეასრულონ. ყველაზე მეტი მოსავალი გუგულა მამულაშვილის ბრიგადამ მიიღო. აქ ჰექტარზე საშუალოდ 100-110 ცენტნერ ყურძენს კრეფენ.

სამტრესტის გურჯაანის ღვინის ქარხნის (დირექტორი გ. შავლიაშვილი, მთავარი მეღვინე პ. კიკვიძე) კოლექტივი დაძაბულად მუშაობს. აქ ყოველდღიურად ასობით ტონა ყურძენს იღებენ კოლმეურნეობებიდან და კოლმეურნეებისაგან. უკვე დაწურულია პირველი 75.000 ცენტნერი ყურძენი. ქარხანაში ყველაფერი კარგად არის მოწყობილი, ყურძნის მიღება-გადამუშავებაში შეფერხება არა აქვთ.

სამტრესტის გურჯაანის ქარხანათა სამმართველოს სოფელ შრომაში გახსნილი აქვს ყურძნის მიმღები პუნქტი. აქ გამართულია ვეებერთელა მარანი, აქვთ 403 ქვევრი. თვითეული ქვევრი 200-450 დეკალიტრ ღვინოს იტევს. ქვევრების ნაწილში წითელი და თეთრი მაჭარი დუღს, ზოგში კი დუღილი დამთავრებულია. ყურძნის მიმღები პუნქტმა (მეღვინე ალექსანდრე ბიბილური) გეგმით 7.000 ცენტნერი ყურძენი უნდა გადაამუშაოს. პუნქტის მუშაკები ამ დავალებას წარმატებით შეასრულებენ რომ მუშაობაში ხელი არ ეშლებოდეთ. ყურძნის საწური მანქანა, რომელიც წელს დადგეს, ტკბილს ღვრის. მას მონტაჟი სჭირდება. პუნქტში მიღებულია სამი ჰიდრავლური პრესი. ისინი მექანიკოსებს დღემდე არ აუწყვიათ.

კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მიმღებ პუნქტში კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს დიდძალი ყურძენი მიაქვთ, მაგრამ პუნქტში წესრიგი არ არის. ყურძნით დატვირთულ ურმებს დიდხანს უხდებათ ლოდინი. არის არსებული წესის დამახინჯების ფაქტებიც. როგორც წესი, შაქრიანობის პროცენტის გამოსარკვევად ყურძნის ნიმუში აწონილი ყურძნიდან უნდა აიღონ. ამ წესს კარდანახში ხშირად არღვევენ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრის ზაქარია პატარქალიშვილის მიერ მიტანილი ყურძნიდან შაქრიანობის შემმოწმებელმა თინა შაკიაშვილმა ნიმუში აწონამდე აიღო. ასე ხდება მეურნეობის მეორე პუნქტშიც (მეღვინე გუგული ორჯონიკიძე). შაქრიანობის გამომრკვევმა ნაზო გველუკაშვილმა კოლმეურნე ალექსი მათიაშვილის მიერ მიტანილი ყურძნიდან აწონამდე აიღო ნიმუში, რაც შეუწყნარებელია.

ზოგჯერ შაქრიანობის რაოდენობის გამორკვევასაც არ ახდენენ სწორად. დადგენილია, რომ ჭურჭელს, რომელშიაც ყურძნის ნიმუშს ჭყლეტენ, ტკბილი უნდა გამოავლონ ან ტილოთი კარგად გამოაშრალონ. ასე მომზადებულ ჭურჭელში ტკბილს ასხამენ და შაქრიანობის საზომს უშვებენ. მაგრამ კარდანახში ამ წესს არ იცავენ. ჭურჭელს წყალს ავლებენ და შაქრიანობას ხელოვნურად ამცირებენ. ასე მოექცნენ ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პირველ ბრიგადას. მიტანილი ყურძნის შაქრიანობის 19 პროცენტი დაადგინეს. კოლმეურნე ილია განოშვილს ამაში ეჭვი შეეპარა და შაქრიანობის გაზომვაში თვითონ მიიღო მონაწილეობა. ამჯერად შაქრიანობის პროცენტი ავიდა 21-მდე.

აღნიშნულ უმსგავსოებას კარდანახის საბჭოთა მეურნეობის მთავარი მეღვინე ბიკენტი სირაძე გულდამშვიდებით უყურებს. იგი ყურადღებას არ აქცევს ყურძნის წურვის დროს სანიტარული წესების დაცვას.

რთველის პირველ დღეებში გამომჟღავნებული ნაკლოვანებანი სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

ს. ქოჩლაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ბეჯითი შრომის ნაყოფი

ბეჯითმა შრომამ, რაც წელს ზესტაფონის რაიონის მევენახეებმა გასწიეს, სათანადო ნაყოფი გამოიღო. ყურძნის მოსავალს კარგი პირი უჩანს. ყურძენი უკვე დამწიფდა, შაქრიანობა 16 გრადუსს აღწევს, საადრეო ჯიშები უკვე დაიკრიფა. მალე რთველი მასობრივად გაჩაღდება.

კარგი სანახავია სოფელ მეორე სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ლ. ჯულელი) 102 ჰექტარი ვენახი. გეგმით თვითეულ ჰექტარზე 50 ცენტნერი ყურძენი უნდა მიიღონ, ფაქტიურად კი სულ მცირე 65 ცენტნერს მიიღებენ. კოლმეურნეობა მზად არის რთველისათვის.

კარგად ემზადება რთველისათვის სოფელ ფუთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ვლ. დუგლაძე). შეაკეთეს ვენახებში მისასვლელი გზები, წესრიგზე მოიყვანეს ურმები, შეიძინეს გოდრები. რთველზე აქ ერთი სატვირთო ავტომანქანა და 90 უღელი ხარი იმუშავებს. სოფელ დიდი განთიადის ხოზე დიასის სახელობის კოლმეურნეობაში საუკეთესო ვენახი აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სოციალისტური შრომის გმირს მევენახე მერგოლურს ანა ტყემალაძეს. იგი მოსავლელად მიჩნეული ვენახის თვითეულ ჰექტარზე ნაცვლად 50 ცენტნერისა 110-120 ცენტნერი ყურძნის მიღებას ვარაუდობს.

ზესტაფონის ღვინის ქარხანათა სამმართველო ღვინო-ყურძნის ყველაზე მსხვილი დამამზადებელი ორგანიზაციაა რაიონში. ქარხანათა სამმართველომ წელს გეგმით 32.500 ცენტნერი ყურძენი უნდა მიიღოს და გადაამუშაოს, აქედან უნდა დაამზადოს 140.000 დეკალიტრი საშამპანურე მასალა, 50.000 დეკალიტრი შემაგრებული ღვინო და 80.000 დეკალიტრი სუფრის ღვინო. ქარხნის გამტარუნარიანობა შარშანდელთან შედარებით წელს ერთი-ორად გაიზარდა. მიუხედავად ამისა, რთველისათვის ყოველმხრივ მაინც არ არიან მზად. აკლიათ 150 მუშა. ქარხანაში არსებული სასადილო ამ ერთი თვის წინათ გააუქმეს. საჭიროა ამ საკითხების დაჩქარებით მოგვარება.

ხ. მუმლაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მოუმზადებელს მოუსწრო

შარშანდელთან შედარებით წელს გორის რაიონის მევენახეები ბევრად მეტ მოსავალს მოელიან.

ყურძნის მიღება-გადამუშავების საუკეთესოდ ჩატარებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა შამპანური კომბინატის გორის ქარხანათა სამმართველომ. ღვინის ქარხნები უზრუნველყოფილი არიან საჭირო ტარა-მასალით. კარგად არის მოწყობილი ხიდისთავის ღვინის ქარხანა (გამგე ო. მალალურაძე, მეღვინე ს. დონდუა). აქ დროულად დამთავრდა ქარხნის კაპიტალური რემონტი და ელექტროფიცირება. ქარხანა უზრუნველყოფილია ტარა-მასალით. ყურძნის გადამუშავების ძირითადი პროცესები მექანიზებულია. წელს დამატებით დაიდგა ყურძნის გადამამუშავებელი ერთი მანქანა. ქარხანას საკმაოდ ჰყავს მუდმივი და დამხმარე მუშები. ყურძნის მიღება-გადამუშავება შეუფერხებლად იწარმოებს.

ნელი ტემპით მიმდინარეობს რთველისათვის მზადება მეჯვრისხევის ღვინის ქარხანაში. ტარა-მასალა საკმარისია, მაგრამ მისი მომზადება ჭიანურდება. კასრების გამოსარეცხად გოგირდის სიმქაველ არ იყენებენ. სამუშაოთა შესრულებაზე კონტროლი არ არის დაწესებული, ამიტომ კასრებს ცუდად რეცხავენ. ქარხნის მეღვინე ალ. ბეგიაშვილი პასუხისმგებლობით არ ეკიდება რთველისათვის მზადების საქმეს. ხშირად რთველისათვის მზადების დღეებში ბეგიაშვილი ქარხანაში არ არის და მეტ დროს ოჯახურ საქმეებს ანდომებს. ქარხნის ეზო დაუცველია. ეზოშიც და თვით ქარხანაშიც პირუტყვი თავისუფლად დაიარება.

ყურძნის მიღება-გადამუშავებას ყოველმხრივ მომზადებული უნდა შევხვდეთ.

შ. ჩუბინიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 22 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ ყველა ფრონტზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით კვლავ ეწევიან გააფთრებულ ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტთა ჯარებისა და ლისინმანელთა არმიის წინააღმდეგ და დიდ ზარალს აყენებენ მტერს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

აღმოსავლეთის ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის 8 გააფთრებული იერიში და მძიმე ზარალი მიაყენეს ამერიკელთა მე-2 დივიზიასა და ლისინმანელთა მე-7 დივიზიას, რომლებიც ცდილობდნენ სახალხო არმიის თავდაცვითი ხაზების გარღვევას.

სახალხო შურისმგებელნი — პარტიზანები, რომლებიც ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტების მიერ ოკუპირებულ რაიონებში მოქმედებენ, სულ უფრო მძლავრად ურტყამენ მტერს. ჩრდილოეთ ჩოლას პროვინციაში პარტიზანული რაზმები გააფთრებულ ბრძოლებს ეწევიან მტრის წინააღმდეგ და ქმნიან განთავისუფლებულ რაიონებს მტრის ზურგში.

22 სექტემბერს ამერიკის ავიაციამ გააფთრებით დაბომბა და ტყვიამფრქვევი დაუშინა ქალაქების ხვანჯუს, სარივონის, ნამფხოს, ფხენიანისა და ვონსანის საცხოვრებელ უბნებს. სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა მტრის ხუთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ფხენიანი, 23 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობაში ნათქვამია, რომ ყველა ფრონტზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით კვლავ გააფთრებულ ბრძოლებს ეწევიან ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტთა ჯარებისა და ლისინმანელთა არმიის წინააღმდეგ და სერიოზულ ზარალს აყენებენ მტერს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ცენტრალურ და აღმოსავლეთის ფრონტებზე სახალხო არმიის ნაწილებმა წარმატებით მოიგერიეს 10-ზე მეტი გააფთრებული იერიში მოწინააღმდეგისა, რომელიც ცდილობდა სახალხო არმიის თავდაცვითი ხაზების გარღვევას.

23 სექტემბერს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა მტრის 17 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

კიმ ირ სენისა და პინ დე-ხუეის პასუხი გენერალ რიჯუეისადმი

პეკინი, 24 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ფხენიანიდან იუწყება, რომ კორეის სახალხო არმიის უმაღლესი სარდალი გენერალი კიმ ირ სენი და ჩინელ სახალხო მოხალისეთა სარდალი გენერალი პინ დე-ხუეი გენერალ რიჯუეისადმი თავიანთ პასუხში წერენ:

თუმცა თქვენს წერილში თქვენ ჯერ კიდევ უარს აცხადებთ იმაზე, რომ აღიაროთ კესონის ნეიტრალიტეტის შესახებ შეთანხმების სხვადასხვა დარღვევა, ჰაერში და ხმელეთზე რაც ჩაიდინეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებმა 10 სექტემბრამდე და რამაც შეუძლებელი გახადა დროებითი ზავის შესახებ კესონის მოლაპარაკების განგრძობა, და ამტკიცებთ, რომ ყველა ინციდენტი მთლიანად გამოიკვლია თქვენმა მხარემ, მიუხედავად ამისა, ჩვენი მხრივ ჩვენ ყველა საფუძველი და უფლება გვაქვს კვლავ მოვითხოვოთ, რომ თქვენი მხარე პასუხისმგებლობით მოეკიდოს ამ ინციდენტებს, რადგან ჩვენ ხელთა გვაქვს საკმაო დამამტკიცებელი საბუთები მათ შესახებ, და თქვენს მხარეს არაერთხელ უთქვამს უარი კვლავ ეწარმოებინა გამოკვლევა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ 22 აგვისტოს პროვოკაციულმა ინციდენტმა და მთელმა რიგმა მსგავსმა ინციდენტებმა, რომლებიც მას მოჰყვა და რომლებიც მთლიანად თქვენი მხარის მიერ იყო შექმნილი, შეუძლებელი გახადა კესონის მოლაპარაკების განგრძობა. ამიტომ ბუნებრივია, რომ თქვენმა მხარემ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა ამისათვის. რამდენადაც თქვენმა მხარემ სინანული გამოთქვა 10 სექტემბრის ინციდენტის გამო, რომელიც კესონის ნეიტრალიტეტის უკანასკნელი დარღვევაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების მიერ, და გამოთქვა აგრეთვე მზადყოფნა პასუხისმგებლობით მოეკიდოს კესონის ნეიტრალიტეტის შესახებ შეთანხმების დარღვევას, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ მოლაპარაკება დროებითი ზავის შესახებ დაუყოვნებლივ განახლებულ უნდა იქნას კესონში და რომ ეს მოუწესრიგებელი ინციდენტები აღარ უშლიდეს ხელს ორივე მხარეს შორის მოლაპარაკების პროგრესს.

ჩვენი მხარე მუდამ მოითხოვდა, რომ შემუშავებულიყო მტკიცე შეთანხმება კესონის რაიონის ნეიტრალიტეტის საკითხზე იმ ანგარიშით, რომ თავიდან აგვეცილებინა დარღვევები მომავალში და შეგვემცირებინა ანდა კიდეკაც აღმოგვეფხვრა მომავალში მოლაპარაკების შეწყვეტის ყოველგვარი შესაძლებლობა, მაგრამ ასეთ კონკრეტულ და მტკიცე შეთანხმებათა გამომუშავება, რომლებიც მისაღები იქნება ორივე მხარისათვის, უნდა ხორციელდებოდეს ამავე დროს არა მეკავშირე ოფიცრების მიერ, რომლებსაც არასოდეს არ ჰქონია სამისო უფლებამოსილება, არამედ ორივე მხარის დელეგატების მიერ განხილვის დროს. მოლაპარაკება რომ არ შეფერხდეს, ჩვენ მოვითხოვთ, რომ სათანადო აპარატი ასეთი საკითხების განსახილველად შეიქმნას დროებითი ზავის შესახებ კესონში განახლებული მოლაპარაკების პირველ სხდომაზე ორივე მხარის მიერ განხილვის საშუალებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ყველაზე გონივრული მეთოდია.

ამიტომ ჩვენ ვუბრძანეთ ჩვენი მხარის მეკავშირე ოფიცერს შეხვდეს თქვენი მხარის მეკავშირე ოფიცერს 24 სექტემბერს დილის 10 საათზე კესონის მოლაპარაკების განახლების თარიღისა და დროის განსახილველად.

კესონის მოლაპარაკების გამო

რიჯუეის მიმართვა კიმ ირ სენისა და პინ დე-ხუეისადმი

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, 23 სექტემბერს გენერალმა რიჯუეიმ კორეის სახალხო არმიის მთავარსარდალ კიმ ირ სენსა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა სარდალს პინ დე-ხუეის გაუგზავნა წერილი, რომელშიც აცხადებს, რომ კესონის ზონის ნეიტრალიტეტის რეჟიმის დარღვევის ყველა შემთხვევა, რომელიც გამოქვეყნდა, თითქოს სავსებით გამოკვლეულია.

თავს არიდებს რა პასუხისმგებლობას კესონის მოლაპარაკების ხანგრძლივი შეწყვეტისათვის, რაც გამოიწვია მომხდარმა ინციდენტებმა, რიჯუეი ამბობს, რომ მან თავის მეკავშირე ოფიცრებს მიითითება მისცა „უზრუნველყონ, რომ ამ არსებითად დიდმნიშვნელოვან საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თქვენს მეკავშირე ოფიცრებთან ყოველი მოლაპარაკების დროს მომავალში, რათა მაქსიმალურად შემცირდეს მოლაპარაკების შემდგომი შეწყვეტის შესაძლებლობა". რიჯუეი იუწყება, რომ მისი მეკავშირე ოფიცრები ჩავლენ პანმინჯონის ხიდზე 24 სექტემბერს 10 საათსა და 00 წუთზე, რათა შეხვდნენ მეორე მხარის მეკავშირე ოფიცრებს და „განიხილონ დაზავებაზე მოლაპარაკების განახლების ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებელი პირობები".

სინხუას სააგენტო ამერიკელ აგრესორთა საომარ მზადებაში იაპონელების გამოყენების შესახებ

პეკინი, 23 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

შეერთებული შტატები ცდილობენ გაიგზავნონ ალასკის ნახევარკუნძულზე „გადასახლების" სახით ერთი მილიონი იაპონელი, რომლებიც ამ რაიონში მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხრ მზადებაში. 85 ათასზე მეტი იაპონელი ჯარისკაცი და ოფიცერი უკვე გადის სამხედრო წვრთნას ამერიკის ჯარების შემადგენლობაში ამერიკის შეერთებული შტატების არქტიკულ ბაზებში—ალასკაზე და ალეუტის კუნძულებზე.

ტოკიოდან 10 აგვისტოს გამოგზავნილ ცნობაში, რომელიც გამოქვეყნებულია ჰონკონგის რეაქციულ გაზეთ „ობსერვატორში", ნათქვამია, რომ „ამჟამად იაპონიის მთავრობას განზრახული აქვს ალასკაზე გადაასახლოს 1 მილიონი იაპონელი". როგორც აცხადებენ, ეს ღონისძიება დაკავშირებულია ამერიკა-იაპონიის სამხედრო შეთანხმების საიდუმლო პირობებთან, რომელთა შესაბამისად იაპონიამ უნდა უზრუნველყოს ადამიანთა რეზერვები ამერიკელი აგრესორებისათვის.

ცნობაში აღნიშნულია, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ორი მრჩეველი გაგზავნა იაპონიაში ვითომდა იაპონიის სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის მდგომარეობის შემოწმების მიზნით. ნამდვილად კი მათ საიდუმლო თათბირი ჰქონდათ ამერიკელთა საოკუპაციო ჯარების შტაბისა და იაპონიის მთავრობის წარმომადგენლებთან. ამერიკის შეერთებულ შტატებში მათი დაბრუნების შემდეგ იაპონიაში ამერიკის ჯარების შტაბის ბუნებრივი რესურსების განყოფილებამ იაპონიის მთავრობას აცნობა, რომ მას შეუძლია დაიწყოს მზადება მოსახლეობის ნაწილის ალასკაზე გადასახლებისათვის.

დანიური გაზეთი სამხრეთ კორეაში არსებული მდგომარეობის შესახებ

კოპენჰაგენი, 23 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ინფორმაშონმა" გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის რობერტ გიიენის მთელი რიგი სტატიები სამხრეთ კორეაში არსებული მდგომარეობის შესახებ და, კერძოდ, მდგომარეობის შესახებ პუსანში, რომელიც ამჟამად ამერიკელი ინტერვენტების არმიის მომარაგების უმნიშვნელოვანეს ბაზას წარმოადგენს.

„პუსანში, — წერს გიიენი, — ყოველ ნაბიჯზე შეხვდები სულ ახალ და ახალ ტრაგედიებს. და ეს იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ეჩვევი. შენს თვალწინ უგონოდ ეცემა ღონემიხდილი ბავშვი, მოხუცები მოწყალებას ითხოვენ".

გიიენი გვიხატავს ამ დიდი ქალაქის ცხოვრების უსაშინელეს სურათებს, ქალაქისა, სადაც გაბატონებულია ამერიკის და იაპონიის საქონლის სპეკულაცია, ნარკოტიკების ვაჭრობა და პროსტიტუცია. ქალაქში არის საროსკიპო სახლები, სადაც ათი წლის გოგონები ჰყავთ.

შემდეგ გიიენი აღწერს საშინელ პირობებს სამხრეთ კორეის სამხედრო ბანაკებში, სადაც ათეულ ათასობით ადამიანი დაიღუპა შიმშილით, ტუბერკულოზითა და სხვა სნეულებებით. იგი მოგვითხრობს ლისინმანელთა არმიის ოფიცრების ბოროტმოქმედებაზე.

ახასიათებს რა სამხრეთ კორეის რეჟიმს, როგორც პოლიციურ რეჟიმს, გიიენი წერს: „ომის შედეგად პოლიცია ყოვლისშემძლე ძალად გადაიქცა. საპატიმროები სავსეა. პატიმართა 60 პროცენტზე მეტი დაპატიმრების ორდერის წარუდგენლად არის დატუსაღებული. პატიმართა უმრავლესობას მრავალ თვეს უხდება ლოდინი, სანამ მათი ბედი გადაწყდებოდეს, პატიმრებს საშინლად აწამებენ"...

„ვამთავრებ რა ჩემს პესიმისტურ ანალიზს,— წერს დასასრულ გიიენი.—მე ვფიქრობ, რომ შევძელი ამესაბა სინამდვილე. ამასთან ის, რაც მე აღვნიშნე, კორეაში ყველასათვის ცნობილი ფაქტებია".

500 სამხედრო ტყვის განთავისუფლება ვიეტნამის სახალხო არმიის შტაბის მიერ

შანხაი, 22 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო ჩრდილოეთ ვიეტნამიდან გადმოგვცემს, წითელი მდინარის დელტის რაიონის ვიეტნამის სახალხო არმიის შტაბმა იმ პოლიტიკის შესაბამისად, რასაც პრეზიდენტი ხო ში მინი და ვიეტნამის სახალხო მთავრობა ახორციელებენ, ამას წინათ გაათავისუფლა 500-ზე მეტი ევროპელი და აფრიკელი სამხედრო ტყვე და ბაოდაის არმიის სამხედრო ტყვეები, რომლებიც ტყვედ წაყვანილ იქნენ მიმდინარე წლის ზაფხულში. მათ შორის 25 ოფიცერია.

სამხედრო ტყვეებმა მადლობა გადაუხადეს პრეზიდენტ ხო ში მინს, ვიეტნამის მთავრობასა და ვიეტნამელ ხალხს მათი სულგრძელობისა და ტყვეებისადმი კარგი მოპყრობისათვის.

იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მოღვაწეობა

შანხაი, 21 სექტემბერი. (საკდესი). იაპონიის გაზეთ „სინძენის" ცნობით, ამას წინათ ტოკიოში გაიმართა იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქტივისტთა სრულიად იაპონიის კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ დელეგატები იაპონიის სხვადასხვა რაიონებიდან.

კონფერენციაზე წარმოდგენილი მასალების მიხედვით იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების განყოფილებათა საერთო რიცხვი იაპონიაში 501-ს შეადგენს. ამ განყოფილებებს 40 ბეჭდვითი გამოცემა აქვთ.

მიუხედავად მკაცრი პოლიციური რეპრესიებისა, საზოგადოება დიდ ახსნა-განმარტებით მუშაობას ეწევა და იაპონელთა ფართო მასებს აცნობს სიმართლეს საბჭოთა კავშირის შესახებ.

ყველაზე აქტიურად მოქმედებს საზოგადოების განყოფილებათა ტოკიოს ფედერაცია. ფედერაციის წევრთა საერთო რიცხვიდან მუშები შეადგენენ 60 პროცენტს, სტუდენტები—15 პროცენტს.

საზოგადოების განყოფილებები აწყობენ კრებებს, ლექციებსა და კონცერტებს. ოსაკას პრეფექტურის სოფლის რაიონებში დემოკრატ მეცნიერთა ასოციაციის განყოფილების დახმარებით მოწყობილია საბჭოთა მეცნიერების—მიჩურინისა და ლისენკოს შრომების შემსწავლელი საზოგადოება.

იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მოღვაწეობა მხარდაჭერას პოულობს იაპონიის მშრომელთა ფართო მასებში. ამ საზოგადოების წევრება ხდებიან მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები. მაგალითად, ქალაქ ნაგოიაში საზოგადოების წევრთა რიცხვი მოკლე ხნის განმავლობაში ათასამდე გაიზარდა.

მშვიდობის პაქტისათვის

ხელმოწერის შეგროვება ინგლისში

ლონდონი, 22 სექტემბერი. (საკდესი). ბუშის მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტმა გადმოგვცა, რომ ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ინგლისში შეგროვებულია 750 ათასი ხელმოწერა.

ამის გამო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი, მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კენტერბერის ტაძრის წინამძღვარი ჰიულეტ ჯონსონი გაზეთ „დეილი უორკერში" გამოქვეყნებულ სპეციალურ მიმართვაში წერს: „ეს ხელისმომწერლების პასუხია იაპონიისა და გერმანიის შეიარაღების და კორეაში ომის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებაზე. ხელმოწერის შემგროვებლებმა თავი გამოიჩინეს ბრძოლის ველების მოსპობისათვის ბრძოლაში. ესენი მშვიდობის გმირები არიან".

შემდეგ ჰიულეტ ჯონსონი აცხადებს: „ინგლისის ჯერ კიდევ რამდენ ქალაქს ამჩნევია ნაცისტების იმ სამხედრო მანქანის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა კვალი, რომელსაც ჩვენ ახლა მსოფლიოს სხვა რეაქციულ სახელმწიფოებთან ერთად უნდა დავუკავშირდეთ ჩვენს მოკავშირეთა წინააღმდეგ ომში, რომლებმაც გვიხსნეს ამ მანქანის გამანადგურებელი ძალისაგან!"

ჰიულეტ ჯონსონი თავის მიმართვას ამთავრებს მოწოდებით გაძლიერებულ იქნას ხელმოწერის შეგროვების კამპანია.

კანტონალური არჩევნები საფრანგეთში

პარიზი, 23 სექტემბერი. (საკდესი). 23 სექტემბერს საფრანგეთში იწყება დეპარტამენტების გენერალური საბჭოების არჩევნების საარჩევნო კამპანია. 7 და 14 ოქტომბრისათვის დანიშნულია კენჭისყრის პირველი და მეორე ტური გენერალური საბჭოების შემადგენლობის სანახევროდ განახლებისათვის, რაც, კანონის თანახმად, ყოველ სამ წელიწადში უნდა ხდებოდეს. გენერალური თუ სადეპარტამენტო საბჭო არჩეითი ორგანოა, რომელიც აღჭურვილია განსაზღვრული რწმუნებებით და იხილავს უმთავრესად ამავე დეპარტამენტის საფინანსო საკითხებს (დეპარტამენტი ადმინისტრაციული ერთეულია, რომელიც ოლქს უდრის.—რედ.). არჩევნები წარმოებს კანტონების მიხედვით (ყოველი კანტონი—ანუ ოლქი—ირჩევს ერთ გენერალურ მრჩეველს), და ამიტომ არჩევნებს ჩვეულებრივ უწოდებენ „კანტონალურს". ამჯერად არჩეულ უნდა იქნას 1.660 მრჩეველი.

ახლანდელი საარჩევნო კამპანია იწყება საფრანგეთში მზარდი საგაფიცვო მოძრაობის ვითარებაში, რომელსაც ახასიათებს მშრომელთა მოქმედების ერთიანობის განმტკიცება. გაზეთი „ლუმანიტე", კერძოდ იუწყება, მთელ რიგ წარმატებათა შესახებ, რომლებსაც მიაღწიეს ერთიანი ფრონტით მოქმედების საშუალებით მშრომელებმა ხელფასის გადიდებისათვის, სიძვირის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბულგარეთის სექტემბრის აჯანყების 28-ე წლისთავი

სოფია, 23 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ბულგარელი ხალხი აღნიშნავს ბულგარელი ხალხის პირველი, 1923 წლის სექტემბრის ანტიფაშისტური აჯანყების 28-ე წლისთავს.

გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო" მოწინავე სტატიაში წერს, რომ რუსეთის დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა ბულგარეთის რევოლუციურ მოძრაობაზე. სექტემბრის ანტიფაშისტურმა აჯანყებამ დიდი გარდატეხა მოახდინა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის განვითარებაში ბოლშევიზმის გზით და ლენინურ-სტალინური ტიპის პარტიად მის ჩამოყალიბებაში.

სექტემბრის აჯანყების 28-ე წლისთავი აღინიშნება სოციალიზმის მშენებლობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის საბრძოლველად ყველა მშრომელის მობილიზაციის ნიშნით. ბულგარეთის ყველა ქალაქსა და სოფელში იმართება მოხსენებები, ლექციები, საუბრები.

გუშინ სოფიაში სექტემბრის აჯანყების 28-ე წლისთავის გამო გაიმართა საზეიმო კრება, რომელზეც მოხსენება გააკეთა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ივანე მიხაილოვმა. კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისალმება ბულგარელი ხალხის საუკეთესო მეგობარსა და განმათავისუფლებელს—ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

ინგლისის პარლამენტის არჩევნების წინ

ლონდონი, 22 სექტემბერი. (საკდესი). კომუნისტური პარტიის ლონდონის საოლქო კომიტეტის მდივანმა ჯონ მაგონმა ლეიბორისტული პარტიის ლონდონის ორგანიზაციას გაუგზავნა წერილი წინადადებით — უზრუნველყოფილ იქნას კომუნისტებისა და ლეიბორისტების ერთიანობა საპარლამენტო არჩევნებში კონსერვატორების დამარცხების მიზნით.

ამ წერილში მაგონი წერს, რომ დიდი ლონდონის 9 საარჩევნო ოლქში კომუნისტები აყენებენ თავიანთ კანდიდატებს და დასძენს: „ყველა სხვა საარჩევნო ოლქში ჩვენ მოვუწოდებთ აირჩიონ ლეიბორისტი კანდიდატები. ჩვენ მზად ვართ მონაწილეობა მივიღოთ ყველა ფორმის საარჩევნო ბრძოლაში, რათა ხელი შევუწყოთ კონსერვატორების ყოველი კანდიდატის დამარცხებას, განსაკუთრებით 18 საარჩევნო ოლქში, სადაც ლეიბორისტები დიდ საფრთხეში არიან".

წერილში ხაზგასმულია, რომ საჭიროა მშვიდობის საკითხი წინასაარჩევნო ბრძოლის საფუძველი გახდეს.

გერმანელი რევანშისტები თავხედდებიან

გაზეთი „ავანტი" დასავლეთ გერმანიაში ყოფილი ჰიტლერული სამხედრო ხროვის აქტივიზაციის შესახებ

რომი, 22 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „ავანტი" ფრანკფურტიდან იუწყება, რომ ბონის მთავრობის სამხედრო მრჩეველი შპაიდელი ბრაუნშვაიგში ამას წინათ მონაწილეობას იღებდა ყოფილი ჰიტლერული არმიის უმაღლეს ოფიცრთა საიდუმლო თათბირში. ეს თათბირი მოწვეულ იქნა იმისათვის, რომ ინფორმაცია მიეწოდებინა ადენაუერისათვის, თუ რა აზრისა არიან სამხედრო წრეები დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების აღდგენის საკითხზე. თათბირში მონაწილეობას იღებდნენ საპარაშუტო-სადესანტო ჯარების ყოფილი გენერალი რამკე, გენერალ რომელის შტაბის ყოფილი უფროსი კურტ ვესტფალი, ყოფილი გენერლები ებრეხტი და ჰაუზერი, ადმირალი ჰანზენი და სხვები.

რამკემ, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა საფრანგეთიდან, სადაც იგი ტყვედ იყო, თავის გამოსვლაში ჰიტლერული გენერალიტეტის სახელით განაცხადა, რომ მისი თანამებრძოლნი თანახმა არიან დაბრუნდნენ შეიარაღებული ძალების რიგებში იმ პირობით, თუ დასავლეთ გერმანიის არმიაზე არ გავრცელდება არავითარი რიცხობრივ ან ხარისხობრივ შეზღუდვას. რომელიც ხელს უშლის ახალი ვერმახტის „საბრძოლო ძალისა და ავტონომიის სრულ აღდგენას". შემდეგ რამკემ მოითხოვა, რომ დასავლეთ გერმანიის არმიის სარდლობა დაეკისროს „ნიჭიერ და ავტორიტეტიან" სამხედრო ხელმძღვანელებს და რომ დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნას ვერმახტის ყველა უმაღლესი ოფიცერი, რომელიც ჯერ კიდევ იმყოფება საპატიმროში, როგორც „სამხედრო დამნაშავე". მან ბონის მთავრობას ურჩია უფრო მტკიცედ დაეყრდნოს ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც ერთადერთ სახელმწიფოს, რომელიც ნამდვილად დაინტერესებულია გერმანიის მძლავრი არმიის აღდგენით და შესწევს უნარი დასძლიოს ფრანგების შენიღბული ოპოზიცია და „შიში". შპაიდელმა ჰიტლერელ გენერლებს უპასუხა, რომ ადენაუერის მთავრობამ დასავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დროს არსებითად უკვე წამოაყენა ანალოგიური მოთხოვნები, თუმცა მიიღო საჭირო გამაფრთხილებელი ზომები, რასაც საერთაშორისო ვითარების სირთულე მოითხოვს. შპაიდელმა თათბირის მონაწილეებს აცნობა, რომ ამერიკელმა ხელისუფლებმა ბონის მთავრობას აღუთქვეს დენიცის, კესელრინგის, რედერისა და სხვა სამხედრო დამნაშავეების განთავისუფლება უახლოეს დროში, რათა ზოგიერთ მათგანს საშუალება მიეცეს პასუხსაგები პოსტი დაიკავოს დასავლეთ გერმანიის აღდგენილ შეიარაღებულ ძალებში.

ფინეთის პრესა ახალი მთავრობის შედგენის შესახებ

ჰელსინკი, 21 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ყველა გაზეთი კომენტარს უკეთებს ფინეთის ახალი მთავრობის შედგენას.

გაზეთი „ტიუვკანსან სანომატი" მოწინავე სტატიაში „წაგებულთა მთავრობა" აღნიშნავს, რომ ახალი მთავრობის ჩონჩხს წარმოადგენენ პარლამენტის უკანასკნელ არჩევნებში დამარცხებული პარტიები, მაშინ როდესაც ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირი, რომელმაც გაიმარჯვა ამ არჩევნებში და რომელიც მოითხოვდა მშვიდობის მთავრობის შედგენას, სრულიად ჩამოაშორეს არა მარტო მთავრობაში მონაწილეობას, არამედ მთავრობასთან მოლაპარაკების წარმოებასაც. სახალხო დემოკრატებს აგრძნობინეს, რომ მათ არ დაუშვებენ მთავრობაში, იმიტომ რომ ისინი მოითხოვენ მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებას. ამრიგად, ცხადია, რომ ახალი მთავრობა შედგენილია მშრომელი მასების გაღატაკების პოლიტიკის, ეგრეთწოდებული „ეკონომიური დროებითი ზავის" პოლიტიკის ლოზუნგით.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანების მემარჯვენე ხელმძღვანელობის მოღალატურ როლს ახალი მთავრობის შედგენის საქმეში.

შემდეგ გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთავრობაში ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის დაუშვებლობის მთავარი მიზეზია ომის ოკეანესგაღმელ გამჩაღებელთა პოზიცია, რომლებიც არ იწონებდნენ პროგრესული ელემენტების მონაწილეობას ფინეთის მთავრობაში, ოკეანესგაღმელ მესვეურთათვის საჭიროა ისეთი მთავრობა, რომელიც მორჩილად შეასრულებდა მათს დირექტივებს და განახორციელებდა ომისათვის მზადების პოლიტიკას.

დემოკრატიული პრესა აღნიშნავს, რომ შემთხვევითად არ შეიძლება ჩაითვალოს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ფინეთის ბანკის დირექტორის ტუომიოიას დანიშვნა, რომელიც ჯერაც არ დაბრუნებულა სამშობლოში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში გამგზავრებიდან, სადაც იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა ამერიკელ და ინგლისელ ბანკირებთან, რაც მიმართული იყო უცხოეთის კაპიტალის მიერ ფინეთის შემდგომი დამონებისაკენ.

გაზეთი „ვაპაა სანა" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტუომიოიას ნამდვილი ბატონები ამერიკის შეერთებულ შტატებში უოლ-სტრიტზე იმყოფებიან.

„ტიუვკანსან სანომატი" ფიქრობს, რომ იმ მოლაპარაკების მიზანი, რომელსაც ტუომიოია ამერიკის შეერთებულ შტატებში სესხის შესახებ ეწეოდა, იყო საბჭოთა კავშირთან ფინეთის ვაჭრობის ჩაშლა.

ფინეთის მშრომელებს, აცხადებს „ტიუვკანსან სანომატი", რომლებიც ისწრაფვიან მშვიდობისაკენ და მოითხოვენ მშვიდობის მთავრობის ჩამოყალიბებას, არ შეუძლიათ რაიმე დახმარება აღმოუჩინონ ახლანდელ მთავრობას.

მემარჯვენე პრესა მიესალმება ახალი მთავრობის შედგენას.

ავსტრალიაში გამართული რეფერენდუმის შედეგების გამო

ლონდონი, 22 სექტემბერი. (საკდესი). ლონდონის რადიოს ცნობით უკვე დათვლილია ავსტრალიაში რეფერენდუმის დროს მიცემული ხმების ორი მესამედი. არსებული ცნობების მიხედვით ავსტრალიის 6 შტატიდან 5 შტატში უმრავლესობამ ხმა მისცა იმის წინააღმდეგ, რომ მთავრობისათვის კომუნისტური პარტიის აკრძალვის უფლების მინიჭების მიზნით შეიცვალოს კონსტიტუცია. რეფერენდუმში მონაწილეობას იღებდა 5 მილიონამდე ავსტრალიელი. მთავრობის წინანდელმა ცდამაც—კანონის მიღების გზით აეკრძალა კომუნისტური პარტია—მარცხი განიცადა. ავსტრალიის უმაღლესმა სასამართლომ ცნო, რომ პარლამენტის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ავსტრალიის კონსტიტუციას.

ჭადრაკის ოსტატთა საკვალიფიკაციო ტურნირი

22 სექტემბერს [illegible] ტოვებული პარტიების გათამაშება.

საერთაშორისო ოსტატ გ. კასპარიანისა და ოსტატობის კანდიდატ ა. ფირცხალავას პარტია კასპარიანის გამარჯვებით დამთავრდა. საერთაშორისო ოსტატმა გ. კასპარიანმა მოუგო აგრეთვე ოსტატობის კანდიდატ თ. გიორგაძეს.

ოსტატ ა. სუეტინისა და საერთაშორისო ოსტატ ლ. არონინის პარტია ფიგურების ხანგრძლივი მანევრირების შემდეგ ყაიმით დამთავრდა.

ოსტატ ო. მოისეევს ავადმყოფობის გამო ტურნირში მონაწილეობას იღებს ოსტატი ა. კაბიშოვი (მოსკოვი). მისი პირველი პარტია ოსტატ გ. გოლდბერგთან უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. მეორე პარტიაში იგი შეხვდა ოსტატობის კანდიდატ ვ. ქარსელაძეს; შუა თამაშში ოსტატობის კანდიდატმა ვ. ქარსელაძემ მატერიალურ უპირატესობას მიაღწია, მაგრამ მოსაფიქრებელი დროის სიმცირის გამო იძულებული შეიქნა ყაიმზე დათანხმებულიყო.

ოსტატობის კანდიდატების ბ. გურგენიძისა და ა. ბლაგიძის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

ოთხი ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: საერთაშორისო ოსტატებს ლ. არონინს, გ. კასპარიანს, ოსტატებს ს. ფურმანს, ი. ლიპნიცკის, ა. სუეტინსა და ოსტატობის კანდიდატ მ. შიშოვს 2½ ქულა აქვს თითოეულს, ოსტატ ა. ბანიკს 2 ქულა (ორი დაუმთავრებელი პარტია), ოსტატობის კანდიდატს ა. ფირცხალავას 1½ ქულა (ერთი გაუთამაშებელი პარტია), ხოლო ოსტატობის კანდიდატ ვ. ქარსელაძეს 1½ ქულა.

ბ. გაჩეჩილაძე
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი

ფეხბურთი

23 სექტემბერს მოსკოვში „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ერთ-ერთი საინტერესო თამაში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი — საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლისა და სასპორტო საზოგადოება „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდები.

თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა 1:0 არმიელ ფეხბურთელთა სასარგებლოდ. შესვენების შემდეგ 38-ე წუთზე დინამოელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. თამაშის უკანასკნელ წუთში არმიელმა ფეხბურთელებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს დინამოელთა კარში და შეხვედრება მოიგეს ანგარიშით 2:1.

„დინამოს" გუნდმა ამ თამაშის წაგებით დაკარგა ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშებაში საპრიზო ადგილის მოპოვების შესაძლებლობა.

ამავე დღეს კუიბიშევში ერთმანეთს შეხვდნენ „კრილია სოვეტოვისა" და კიევის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდები. შეხვედრა მოიგეს კუიბიშევის ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0.

ლექცია

25 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქ. № 2) შედგება პროფესორ ზავრიევის ლექცია თემაზე: „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — მოწინავე—ფორმალიზმის წინააღმდეგ შეურიგებლადმი ხელმძღვანელობაში.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

საერთო სათაურით „თავდადებული შრომა საუკეთესო წვლილია მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში" წერილები: ორთაჭალის ჰიდროელსადგურის მშენებლობაზე. ქუთაისის ავტომობილები რაიონებში. საკავშირო ინფორმაციები.

მეორე გვერდი—მისალმებათა ნაკადი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. „პრავდის" 23-IX მოწინავე — მშვიდობისათვის ბრძოლა პრესის კეთილშობილური საქმეა. პარტიული ცხოვრება — პარტიული აქტივის კრება. ვ. გონგაძე—ყური დავუგდოთ ბოლშევიკური კრიტიკის ხმას. ზ. მერკვილაძე—ყოველივე ახლის, პროგრესულისათვის ბრძოლაში. საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში. ახალი მიღწევა მეცნიერებაში სიცოცხლის შესახებ. რუსეთი ელექტროძრავების სამშობლოა.

მესამე გვერდი—სერგო ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმის გახსნა. ა. ანთიძე — დაიწყო თეატრის საშემოდგომო სეზონი. გ. ხარებოვი — ხალხური შემოქმედება. პ. ბიკოვი, ფ. კომაროვი, ა. კულაგინი — თბილისის ქარხნებში.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ფიზკულტურა და სპორტი. ქალაქის ქრონიკა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

26 სექტემბერს

6.45 — მუსიკალური ნაწყვეტები კინო-ფილმებიდან. 9.20 — ჩინური და კორეული სიმღერები. 17.10 — კონცერტი მოსკოვისათვის. 18.10 — ბალაკირევის და ლიაპუნოვის საფორტეპიანო ნაწარმოებები რჩეულიშვილის შესრულებით. 18.30 — სამი სკოლის რაზმეულის გამოსვლა—„მშვიდობისათვის მთელს მსოფლიოში". 19.15—კომპოზიტორ არუთინიანის კანტატა სამშობლოზე. 20.30 — რადიოსადგურებით—გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — ქართველ კომპოზიტორთა რომანსები. 20.45 — რადიოკომიტეტის საგუნდო კაპელის კონცერტი. 21.10 — საუბარი: ქართველი ხალხი ერთსულოვნად აწერს ხელს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას და თავისი შრომით განამტკიცებს მშვიდობის საქმეს. 21.30 — კონცერტი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ე. ჭაბაშვილის შესრულებით. 21.55 — კონცერტი-ლექცია: „არიები ქართულ ოპერებში". 22.40 — ლიტერატურული გადაცემა. 24.00 — კონცერტი ლისტის ნაწარმოებებიდან.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — „მტრები"; მარჯანიშვილის სახელობის — „მარინე"; გრიბოედოვის სახელობის — „სახლი შესახვევში" (26-ე და 27-ე აბ.); მუსიკალური კომედიის — „მზის დაბნელება"; მოზარდ მაყურებელთა ქართული —„წითელქუდა" (26-ე აბ. 7 ს.); მოზარდ მაყურებელთა რუსული—„განწირულნი" (პრემიერა 7 ს.); ხანკულტურის—„ორი ბედნიერება"; თოჯინების ქართული — „ბატის ჰუკი" (10 ს.).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი", „იპანი" (საზაფხულო და საზამთრო დარბაზი), „კოლხიდა" (საზაფხულო და საზამთრო დარბაზი)—„განგაში"; „ამირანი" — „მექსიკელი ქალიშვილი" (საზამთრო დარბაზი), „განგაში" (საზაფხულო დარბაზი); „სპარტაკი—„აყვავებული უკრაინა"; „თბილისი", კიროვის სახელობის — „მექსიკელი ქალიშვილი"; „კომკავშირელი" — „მშვიდობა გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში" (საზამთრო დარბაზი), „სამხედრო საჰაერო ფლოტის დღე" (საზაფხულო დარბაზი); 26 კომისრის სახელობის — „ანაიტ" (I და II დარბაზი), „მექსიკელი ქალიშვილი" (საზაფხულო დარბაზი); „დიდუბე"—„ცირკის არენაზე" (საზამთრო დარბაზი), „ჯამბაზები" (საზაფხულო დარბაზი); „კოლმეურნე" — „საჰაერო აკრობატები".

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს გენეტიკური ფსიქოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დამტკიცების საბუთების შემოწმებული ასლები, საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და მთავარი სამეცნიერო შრომები.

კონკურსის ვადაა 15 დღე დღიდან გამოცხადებისა.

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს „გლავხიმსბიტის" თბილისის კანტორა აცხადებს მომხმარებელთა საყურადღებოდ, რომ სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრის 1951 წლის 20 აგვისტოს № 651 ბრძანების საფუძველზე „გლავხიმსბიტის" თბილისის კანტორა 1951 წლის 1 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრამდე ჩათვლით აწარმოებს საწყობებში არსებულ მთელ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა სრულ ინვენტარიზაციას.

ამასთან დაკავშირებით საქონლის გაცემა ყველა საწყობიდან იწარმოებს მხოლოდ 30 სექტემბრის 15 საათამდე. ყველა ის ანგარიში, რომლის მიხედვით საქონელი ამ ვადისათვის გატანილი არ იქნება, უქმდება.

ადმინისტრაცია.

მოქალაქე ანდრო ნიკოლოზის-ძე გაჩეჩილაძემ მცხოვრებმა გრიბოედოვის ქ. № 4, აღძრა საქმე პლეხანოვის ქ. № 1/90 მცხოვრებ მოქალაქე ნათელა ნიკოლოზის ასულ გაჩეჩილაძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს მოლოტოვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

„ზაგოტსენის" საქართველოს რესპუბლიკური კანტორის თანამშრომლები იუწყებიან ლევან გიორგის-ძე მეზურნოვის გარდაცვალებას.

მშობლები ნათელა, გრიგოლ გუდავაძეები, ბებია ნინო, ბიძია სიმონ კაკაბაძეები იუწყებიან პატარა კიტის გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-IX, ბორჯომში.

მიცოლა ეთერ, ბიძა ვასო კვარაცხელიები იუწყებიან პატარა ინეზას გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-IX, წალენჯიხაში.

დილმის სანერგის დირექცია და მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება ლუკა იორდანეს-ძე შახბეკოვის გარდაცვალებას.

ელიზბარ, ილია, ლეონ, ოლია, ფედოსია მარკოზიები ოჯახებით იუწყებიან ბიძის ანდრია გიორგის-ძე კოკაიას გარდაცვალებას.

მშობლები მარიამ, კონდრატი, მეუღლე ვალერიან, შვილები ბორის, მევი, ანზორ, დები ნუცა აფხაიძე, ელენე ძაძამია, ოლია შენგელია, ვერა მეტრეველი იუწყებიან პაშა კონდრატის ასულ კლდიაშვილი-ბუიღლიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-IX, 7 ს. გამოსვენება 27-IX, 6 ს. ლეჩხუმის 10-ა.

შვილები თამარ, შოთა, ნიკოლოზ, რძალი ტატიანა, შვილიშვილები მერი, როზა, დოდო გაბისკირიები, ანჟელინა, გოგა ბუკიები ოჯახით იუწყებიან მარიამ ბაბევს ასულ გაბისკირიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-IX, 7 ს. გამოსვენება 27-IX, 5 ს. გლდანის, 21.

ბებია ნინო, მამიდა მარო, მშობლები სიმონ, კატო, ძმა გივი, და ციცინო, რძალი გულნარა, ძმისწული მარინე იუწყებიან ვანო სიმონის-ძე ტოგონიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-IX 7 ს. გამოსვენება 27-IX, 5 ს. 30 წ. გოგებაშვილის, 27.

შვილები ლაზარე, აკაკი, ლიუბა, ალექსანდრე, ანეტა, რძლები ტატიანა, თამარ, ლიდა, ლულუ კოკაიები, სიძე შ. გუგუნავა შვილებით იუწყებიან ანდრია გიორგის-ძე კოკაიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-IX, ს. დიდ ჰყონში (ცაგერის რ.).

საქნავშირის კომბინატის თანამშრომლები იუწყებიან ბესარიონ ლევანის-ძე რატიანის გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტო და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04348